



ციხესიმაგრე

№ 134 / 29 აპრილი - 5 მაისი / 2013

პოსტონის ტერაქტის პავილინი კვალი 83. 12

აფხაზური სიონი 83. 12

საავადებო ფოლან საზოგადოებაში 83. 28

ნარკოაოლიტიკა, როგორც რეპროსიცის იარაღი 83. 34

საჭროს პირადი თავისუფლებისთვის 83. 38

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი



83. 14

ცაცა ბიბიანი:

უნდა დავიწიქით
პეიონისტურაზე

תְּבִיבָה
בְּרַבְבָּן

הַבְּרַבְבָּן כְּפֶפֶפֶל

עומד ב-22:00

הַבְּרַבְבָּן
עומד ב-22:00
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן

הַבְּרַבְבָּן
עומד ב-22:00
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן
הַבְּרַבְבָּן



მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაქაშვილი
ირაკლი აბაშიძე

შრომისათვე:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ჭავაცოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო
აფასიაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრიბუტორი:

მანანა ვარდიაშვილი, დემის
პლანდოვი, სილვა შტიობერი,
პაალა ქურდაძე, ვასო კუჭუხიძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზანი

თორინიკე ლიორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამოცემლისა:

დირექტორი
შორენა შავერდაშვილი

გზისას განვითარების განვითარები:

რუსული ბართაშვილი

პარტნიორებთან ურთიართობის
განვითარები:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ფურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირი: 247 10 05.



ამ ნომერზე ვმუშაობდით, როცა „იდენტობამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისში, ხალხმრავალ ადგილას, სექსუალური ორიენტაციისა და ეთნიკური კუთვნილების გამო მამაკაცს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, მას დაზიანებული აქვს თავის ქალა, თვალი, ყბა-სახის ძვლები და შელენილი აქვს ყვრიმალები.

როცა ცხოველური ზიზლის ასეთ გამოვლინებას გადავაწყდები ხოლმე, ბევრი მიმდინარე მოვლენა ფერმკრთალდება. ადამიანები, ვინც მეტროს იმ სადგურში სეირს უცურებდნენ, სახლებში, ალბათ, მეგობრობისა და სიყვარულის სადლეგრძელობებს სვამენ, ქართველი ერის განსაკუთრებულობაზე საუბრობენ და აპანოუბანში სხვადასხვა რელიგიის სალოცავების სიახლოებების მცუკნებიან ისტორიებს.

სხვის დასანახად ტოლერანტულობა დღეს აღარ გამოძის. როცა საკუთარ სადარბაზოში, საყვარელ კაფეში ან მეტროში სულ უფრო და უფრო მეტი ჯურის, ყაიდისა და მსოფლმხედველობის ადამიანი გხვდება, შემწყნარებლობის დასტურად, ქართველი და ეპრაელი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობა აღარ კმარა. თუ გულწრფელად არ გვერა, რომ ადამიანები, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და ყველა სხვა პირობითობის მიუხედავად თანასწორები ვართ, თანამედროვე სამყაროში ამას ვერ ითამაშებ.

„გიუჟებს თუ უკეთებდნენ იზოლირებას საზოგადოებისგან ადრე, ესენიც ცალკე უნდა მოათავსონ, რომ ასე ღიად, დღისით, მზისით არ ჰქონდეთ ქუჩაში სხვების, „მონუსხვის“ საშუალება“, – დაწერა ფეისბუქის ერთმა მომსმარებელმა ამ თემაზე გაჩაღებულ მიწერ-მოწერაში.

მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ვიდაცები ასე ფიქრობენ – ასეთები ყველგან არიან და ალბათ, ყოველთვის იქნებიან, ჩვენი საზოგადოების სირცხვილი ის მგონია, რომ ადამიანები მსგავსი აზრების ფრქვევას საჯარო სივრცეში ბედავენ. თანაც რაიმე დახურულ და მარგინალიზებულ ფორმუმებში, ანონიმურად კი არა – ღიად და თავებური ჰორი.

ფაშიზმის შეწყნარებაც ფაშიზმია. განსხვავებული აზრისადმი შეწყნარებლობის ეგიდით ქსენოფობიურ, სიძულევილის წამახალისებელ გამონათქვამებზე თვალის დახურვა საზოგადოების დემოკრატიულობის კი არა, უმნიშვრობის ნიშანია. სანამ ჩვენი ნაცონბები, ფეისბუქ-მეგობრები ჩვენი თანდასწრებით ასეთი განცხადებების გაკეთებას არ იუზერსულებენ, წუდარ ჩატვლით, რომ ძალადობასა და შუა საუკუნეობრივ სიბრძეებს გავემიჯნეთ.

როცა შენ ირგვლივ ფაშიზმს არ ენინააღმდეგები, შენც თანამონაწილე ხარ.

ირაკლი აბაშიძე, პოლიტიკის რედაქტორი



იცანიშვილის ლებიული სტენბუჰში

პრემიერმა სიტყვა ფრანგულად დაიწყო და შემდეგ ქართულზე გადავიდა.

მან საქართველო ევროპული თანამეგობრობის ნაწილად წარმოადგინა და რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში დახმარება ითხოვა. სწორედ ამაზე, ოლონდ უფრო პათეტიკურად საუბრობდა მიხეილ სააკაშვილი სამი თვის წინ ამავე ტრიბუნიდან.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეცდომებსა და გადაცდომებზე პრემიერ-მინისტრმა სააკაშვილის სახელის უხსესნებლად ისაუბრა. მან ილაპარაკა ელია-ტარულ კორუფციაზე, ძალაუფლების ცენტრალიზებასა და ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, თუმცა ისიც განაცხადა, რომ მისი მთავრობა ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას ცდილობს.

სილვა შტიობერი
გვ.33.20


"ცელა ლავაზიქები პირობებებზე"

ზოგი პროექტი მართლაც მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან დაკავშირებული იყო რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. წამდვილად საჭირო ინიციატივები იყო და როგორც ვიცი, ეს მშენებლობები ახლაც მიმდინარეობს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მშენებლობის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამას ბევრნილად წინა ხელისუფლების პოლიტიკა განაპირობებდა, როდესაც კომპანიებს სთხოვდნენ გარკვეული დღესასწაულებისთვის დაემთხვიათ ამა თუ იმ ობიექტების დასრულება. შესაბამისად, ახლა რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი ცდილობს, ეს ობიექტები გადმოიბაროს. გვესმის ამ კომპანიების წუხილიც, მათ იცოდნენ, რომ მშენებლობა იმ დროში, რა დროშიც ხელისუფლება მოითხოვდა, ვერ დასრულდებოდა.

თინა ყიფშიძე, თათია ხალიანი
გვ.33.14

ID ბაჟათები - საფინანსო პიროვნები თავისუფლებისთვის

ავტორი: ID ბარათების გარშემო საუბარი მესამე წელია, არ წყდება. მოსახლეობის ნაწილი პირადობის ელექტრონული მოწმობების დანერგვის წინააღმდეგია. მათი აზრის შესწავლა და არგუმენტების მოსმენა იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ ახლახან დაინტენირდა. ამჟამად სამინისტროს დაკვეთით სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრი ID ბარათებისადმი მოსახლეობის განწყობის მასშტაბურ კვლევას აწარმოებს. თუმცა, იუსტიციის სამინისტრო ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოწინააღდეგებათა არგუმენტებს ცოტა არ იყოს, პრიმიტიულად აღიქვამს.



ID ბარათებისა და მათი ალტერნატივის დასაშენებლობის საბოლოო ბედი ცნობილი ზაფხულისთვის გახდება. ბარათების უალტერნატივოდ დანერგვისა და ფუნქციური გამდიდრების შემთხვევაში სახელმწიფოს პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიების შემთავსება მოუწევს. მანამდე კი, სპეციალურ დამცავ ბადეში მოთავსებული ID ბარათები ძველებური ლამინირებული პირადობის მოწმობებისგან დიდად არ განსხვავდება.

ანი ჭანკოტაძე
გვ.33.28

ნახაობობისა, ჩოტოს ჩვენის იახალი

მკაცრი და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის შედეგად ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა, მომხმარებელთა ნაწილი კი ახალი, უხარისხმის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე გადავიდა. ნარკოანონმდებლობის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა საქართველოს პარლამენტში საშემოდგომო სესიისთვისა დაგეგმილი. 2012 წლის დეკემბერში ახალი მოწვევის პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი გამოვიდა ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციას.

მანანა ვარდიაშვილი
83.34

ხელი

საზოგადოებრივი მაუწვერლობა, პირითალი პრიცეპაზი და ამოცანები



ქოტე ჯანდიერი
83.24

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

შურინგლი გამოქვეყნებული მსალების ნაილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაფლვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ თვეში. პირველი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ჭავჭავაძე ნინო ჩიკვაძე

- 04 მოკლედ
ორი აზრი
- 06 უნდა ვიზებით თუ არა 1 მაისი,
მშრომელთა საერთაშორისო
სოლიდარობის დღე?
- 08 ბოსტონის ტერაქტის კავკასიური
კვალი
- 12 სირცხვილი
ინტერვიუ
- 14 „უნდა დავუიქრდეთ
პრიორიტეტებზე“
პოლიტიკა
- 20 ივანშვილის დებიუტი სტასბურგში
სამხრეთ კავკასიის ხმები
- 22 აფხაზური სიონი
მედია
- 24 საზოგადოებრივი მაუწვებლობა,
ძირითადი პრინციპები და
ამოცანები
ჯანდაცვა
- 28 საავადმყოფოდან საზოგადოებაში
საზოგადოება
- 34 ნარკოპოლიტიკა, როგორც
რეპრესიის იარაღი
- 38 ID ბარათები: საფრთხე პირადი
თავისუფლებისთვის
რეპორტაჟი
- 42 „ცოდნის გომური“ სოფელ
ლამბალოში
ლიბერალის ვებგვერდიდან
- 48 გია ხეხაშვილი მაღრიდის „რეალის“
ხელმძღვანელობას შეხვდება

ჯონას სახნავს ბოსტონის ტებულის მოცურბისთვის ბიბი ნაციონას



აშშ-ში ბოსტონის მარათონის დროს აფექტებაში ეჭვმიტანილ 19 წლის ჯონარ ცარნაევს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. ეჭვმიტანილი ბოსტონის სააგადმყოფოში იმყოფება. მას ყელი აქვს დაზიანებული, რის გამოც საუბარი არ შეუძლია. მისი უფროსი ძმა, ტამერლანი, რომელსაც ბოსტონის აფექტებაში ჯონართან ერთად ედება ბრალი, პოლიციასთან შეტაკებისას მძიმედ დაიჭრა და სააგადმყოფოში გარდაიცვალა.

ბოსტონის მარათონის დროს აფექტებას სამი ადამიანი ემსხვერპლა, 170-ზე მეტი კი დაშავდა. ამერიკელი ოფიციალური პირების განცხადებით ძმების მოტივაცია რელიგიური-ექსტრემისტული ხასიათისაა, თუმცა რომელიმე ისლამური ტერორისტული ჯგუფის წევრები არ არიან.

რამდენადაც ჯონარ ცარნაევი ამერიკის მოქადაქეა, მას ფედერალური სასამართლო გაასამართლებს. როგორც წესი, ამერიკის შეერთებულ შტატებში „მტრის მებრძოლა“ სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რესპუბლიკელი კონგრესმენი 19 წლის ამერიკის მოქალაქეს სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებას მოითხოვს.

შეთანხმება სეიბისა და ბოსტონის შოჰის

ევროკავშირის შუამავლობით სერბიასა და კოსოვოს შორის შეთანხმება დაიდო. შეთანხმების მიხედვით კოსოვოს ჩრდილოეთში მცხოვრებ სერბიულ

უმრავლესობას პოლიციის დაკომბლექტის უფლება ექნება, თუმცა მათ კოსოვოს ამ ნაწილში აღბანური მთავრობის უფლებამოსილება უნდა აღიარონ.

შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ევროკავშირის კანკაფეში ერთმანეთისთვის ხელის არშეშლასაც ეხება. შეთანხმება ჯერჯერობით პოლიტიკურ დონეზეა მიღებული და ნაციონალისტურად განწყობილი ადამიანები არ ემხრობიან.

ევროკავშირისარმა გაფართოების საკითხებში, შტეფან ფულემ, შეთანხმების მიღწევას ისტორიული უწოდა.

„მიღწეული წინსვლის გათვალისწინებით, ევროკავშირისა რეკომენდაციას აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ დაინტენდ მოლაპარაკება სერბიასთან ევროკავშირში განვერიანების, კოსოვოსთან კი სტაბილიზაციისა და ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გარშემო,“ – აღნიშნა მან.



ბიბი ივანიშვილი ევროპის საბჭოს საკახალამო ასამბლეაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიბინა ივანიშვილი 23 აპრილს სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე (PACE) სიტყვით გამოვიდა. ეს იყო პრემიერ-მინისტრის პირველი საჯარო გამოსვლა საერთაშორისო ფორუმზე, რასაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი დეპუტატების მხრიდან კითხვები მოჰყვა.

„ჩვენ გავაგრძელებთ წინა ხელისუფლების მიერ მმართველობის პირველ წლებში წამოწყებული რეფორმების იმ მცირე ნაწილს, რომელიც სასიკე-


თო იყო ქვეყნისთვის, მაგრამ ვალდებულები ვართ, უკანასკნელ წლებში ავტორიტარულ სტრუქტურებად ქცეული ინსტიტუტები თანამდეროვე დემოკრატიული ინსტიტუტებით შევცვალოთ“, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობამ „სამართლიანობის აღდგენა“ დაინტენდო. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, მისი თხოვნით, ევროკავშირმა საქართველოში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის ყოფილი კომისარი თომას ჰამარბერგი მოავლინა „როგორც სპეციალური მრჩეველი სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა მიმართულებით“. მან ასევე აღნიშნა, რომ ეუთო წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს.

„აღბათ, ყველაზე იმედისმომცემი გახდავთ ის, რომ რთული დასაწყისის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ ევროკავშირისგან მიღებული გაკვეთილების ცხოვრებაში გატარებას ყოფილ მონინაალმდგრებაზთან კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით“, – განაცხადა ივანიშვილმა. თავის გამოსვლაში ივანიშვილმა რუსეთთან ურთიერთობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთოერთობის დალაგება მისი „დიდი ოცნებაა“.

„თბილისა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას. ამ როტულ პროცესში, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ ევროპელი პარტნიორების, მაგისიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

PACE-ში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკინმა პრემიერ-მინისტრს ჰეითხა, თუ რას ფიქრობდა იმის თაობაზე, რომ



აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, მიუსედავად ამ ორი სუპერტის სტატუსისა, გამოსულიყვნენ PACE-ში. თავის კითხვაში პუშკოვმა ასევე ახსენა PACE-ს გადაწყვეტილება, რომელმაც ორ დეპუტატს კოსოვოდან PACE-ს კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის უფლება მისცა.

„ოსეთიც და აფხაზეთიც საქართველოს ნანილია, შესაბამისად, ოსებსაც და აფხაზებსაც ჩვენ დელეგაციასთან ერთად, რა თქმა უნდა, ყოველთვის ექნებათ საშუალება, რომ მიიღონ მონაწილეობა ევროსაბჭოს მუშაობაში“, – განაცხადა ივანიშვილმა და შემდეგ კოსოვოსთან მიმართებაში დაამატა:

„კოსოვო არათუ ზღუდავდა, თვითონ იწვევდა საერთაშორისო დამკვირვებლებს, აბსოლუტურად გახსნილი იყო ყოველგვარი თანამშრომლობისათვის, რაც საუბედუროდ არ ხერხდება დღეს და ჩვენ ელემენტარულ მონიტორინგს ვერ ვახორციელებთ აფხაზეთსა და ოსეთში ჰუმანიტარული აქციების განხორციელების საშუალებაც არ არსებობს, ისინი დახურულები არიან, შესაბამისად, ასეთ პერსპექტივას, მე პირადად, ვერ ვხედავ“.

ასამბლეაზე სომებმა დეპუტატმა ივანიშვილს აფხაზეთის რკინიგზის

აღდგენის შესაძლებლობაზე ჰქითხა, რომელიც საქართველოს გავლით სომხეთს რუსეთს დაუკავშირებს, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა უპასუხა, რომ დარწმუნებულია – „პერსპექტივაში აუცილებლად გაიხსნება ეს რკინიგზია“, თუმცა ამას სჭირდება დრო და არ წარმოადგენს „მარტივ პროცესს“, ვინაიდან ეს საკითხი „ძალიან არის გადაჯაჭვული პოლიტიკასთან“.

2010 წლის აზერბაიჯანის აუსათში საუცინიზე ალოჩინება

რუსეთში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ კითხვა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს „ეხო მასკვის“ მთავარმა რედაქტორმა, ალექსეი ვენედიქოვმა, „ხალხთან პირდაპირი ხაზის“ დროს დაუსვა. მან პრეზიდენტს პანკ ჯგუფის „პუსა-რაოტის“, ალექსეი ნავალნის საქმეები შეახსენა და დუმაში მრავალრიცხვანი რეპრესიული კანონების მიღებას გაუსვა ხაზი.

„სტალინიზმი პიროვნების კულტთან, კანონების მასობრივ დარღვევებთან, რეპრესიებთან და ბანაკებთანაა დაკავშირებული. რუსეთში ასეთი არაფერი არ ხდება და არც არასდროს მოხდება. საზოგადოება უკვე სხვაგვარია და

ამას აღარასდროს დაუშვებს,“ – უბა-სუხა პუტინმა.

კითხვაზე, ეშინია თუ არა ალექსეი ნავალნის ძალაუფლების, პუტინმა ბევრი ილაპარაკა, თუმცა ოპოზიციონერის გვარი არც ერთხელ არ ახსენა.

„თითოეულს თავისებურად ეშინია კორუფციის. მაგრამ ისინი, ვინც კორუფციას ებრძების, თავად უნდა იყვნენ კრისტალურად სუფთები. თუ ვინმე ხმამაღლა ყვირის, რომ ქურდი უნდა დაიჭირონ, თავად მას ამის გამო ქურდობა არ ეპატიება.“ – თქვა ვლადიმერ პუტინმა.

„მე ოპოზიციონერებთან მუდმივად ვსაუბრობ. სისტემის მიმდა არსებულ ოპოზიციონერებს მუდმივად ვთავაზობ დიალოგს, მაგრამ ისინი უარს ამბობენ,“ – ალიშან პუტინმა. **¶**



დიახ

გიორგი კევლიშვილი
მხატვარი

მშრომელთა საერთაშორისო დღეს მთელს მსოფლიოში აღნიშნავენ: იაპონიასა თუ შვედეთში, ევვიპტესა თუ გერმანიაში, მექსიკასა თუ დიდ ბრიტანეთში.

საქართველოში ყველა პოსტსაბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი დეგიტიმაცია ყოველივე მანამდე არსებულის ტოტალურ უარყოფაზე დაამყარა და ეს დღეც საბჭოთა გადმონამთად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ მშრომელთა ბრძოლით მოპოვებული ეს დღესასწაული, გარდა პოსტსაბჭოთა ხელისუფლებებისა, თავის დროზე გააუქმეს მხოლოდ ულტრა-მემარჯვენე ფაშისატურმა მთავრობებმა გერმანიაში, იტალიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში.

არადა, ტრადიცია გაცილებით ადრე, მეცხრამეტე საუკუნეში, შეერთებულ შტატებში იშვა - 1886 წლის მაისში პოსტონში გაფიცვა მიმდინარეობდა შრომის ლირსული პირობების მოთხოვნით. პოლიციის მხრიდან ხალხის მასაში ბომბი ისროლებს. აქედან მოყოლებული მრავალი ქვეყნის მშრომელებისათვის 1 მაისი იქცა საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. პროფესიონელებმა, ხალხის ინტერესების გამომხატველმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა და სტუდენტურმა მოძრაობებმა შრომის ემანსიპაციისათვის ბრძოლის პროცესში 80-ზე მეტ ქვეყნაში, მათ შორის, ევროპავჭირის ქვეყნების უმრავლესობაში, მიაღწიეს 1 მაისის ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადებას.

ეს არის დღე, როდესაც უნდა გავიხსნოთ, რომ საზოგადოების არსებობა და განვითარება თითოეული ადგინანის ყოველდღიურ, ხშირად - მძიმე და მომქაცველ შრომას ეფუძნება; რომ მშრომელები იმსახურებენ სწორედ ამის შესაბამისი უკუგება და დაფასება მიღლონ, და არა დამამცირებელი მოპყრობა, როგორც საწარმოო ძალამ, რომელსაც მხოლოდ ერთეულთათვის - მმართველი კლასის, სამეწარმეო-ფინანსური ელიტებისთვის კეთილდღეობის შექმნის ფუნქცია აკისრიათ.

ამ დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი ორი პრობლემა უკავშირდება:

სამუშაო პირობების ბარბაროსული შეუსაბამობა თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან.

და არანაკლებ შეურაცხმყოფელი: ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისათვის საერთოდ არ არსებობს შრომის შესაძლებლობა, უმუშევრობა ჩვენი საზოგადოების უმწვავესი პრობლემაა.

ამ პრობლემათა გადაჭრისათვის ბრძოლა თითოეულ ჩვენგანს მართებს.

ახალმა ხელისუფლებამ უნდა დაასრულოს მანკიერი პოსტსაბჭოური ტენდენცია, და 1 მაისი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ დღესასწაულად ჩვენთანაც. ეს არ იქნება მშრომელთა საბოლოო გამარჯვება, არამედ - მხოლოდ მორიგი ეტაპის დასაწყის პროცესში, რომელიც ადამიანის თვითრეალიზაციისა და სრულფასოვანი სიცოცხლის პირობების შექმნისკენ არის მიმართული. **ც**



ცნო ვიზუალოთ მშენებელთა სახითაშორისო

■ 1 მაისი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს აფიციალურ დღესასწაულად ჩვენთანაც.
ეს არ იქნება მშრომელთა საბოლოო გამარჯვება, არამედ - მხოლოდ მორიგი ეტაპის დასაწყისი პროცესში, რომელიც ადამიანის თვითრეალიზაციისა და სრულფასოვანი სიცოცხლის პირობების შექმნისკენ არის მიმართული.



არა

ზაზა ბიბილაშვილი
იურისტი

პირველი მისი ბევრ ქვეყანაში აღინიშნება ოფიციალურად, როგორც მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. საბედნიეროდ, ამ ქვეყნებს შორის საქართველო არაა და, მიუხედავად ახალი ხელსაუფლების გამოკვეთილად მემარცხენე, პოპულისტური სულისკვეთებისა, იმედია, ეს ასეც დარჩება.

ამ თარიღთან დაკავშირებით არსებობს ორი პრობლემა. პირველია მისი კავშირი ჩვენს ტოტალიტარულ წარსულთან, რატომძლაც, ბოლო ხანებში, დისკუსია მხოლოდ ამ საკითხის გარშემი მიმდინარეობს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ პირველი მისი არა საბჭოთა დღესასწაული, შესაბამისად, მისი აღნიშვნა არ უნდა იყოს საზოგადოებისთვის მიუღებელი. ფორმალურად, ეს მართლაც ასეა, თუმცა, ოდნავ ტლანები ანალოგია რომ გამოყიუნოთ, არც სვასატეკიაა ნაცისტების მიერ მოგონილი სიმბოლო, მაგრამ მისი დემონსტრირება თანამედროვე გერმანიაში მაინც აკრძალულია. ოფიციალურ დღესასწაულად ეს თარიღი საქართველოში სწორედ საბჭოთა რუსეთის მიერ დაინერგა. შესაბამისად, შეუძლებელია, საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს თარიღი არ ასოცირდებოდეს საბჭოთა ოკუპაციასთან და კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან, რასაც ასეულობით ათასი ჩვენი თანამემატეულებისას, რასაც ასეულობით ათასი ჩვენი თანამემატეულებისას.

მეორე პრობლემა, რომელიც პირველ მაისთან არის დაკავშირებული, ეხება ამ დღის შინაარსს. არსებოთად, ეს არის კლასობრივი, იდეოლოგიური ხასიათის დღესასწაული, რომელიც ნარმობიშვა მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობაში, იმ სავრცელო სივრცეში, რასთანაც თითქმის აღარაფერი აკავშირებს 21-ე საუკუნის საქართველოს. ეს არის არსებოთად სოციალისტური ზემი, რომლის პათოსასა და სულისკვეთებას იზიარებენ კომუნისტები, ანარქისტები და მენინგრიმის გარეთ მყოფი სხვა სუბკულტები. პირველ მაისის აღნიშვნა ხელს უწყობს „მშრომელუბის“ სტიგმატიზაციას, მათ განიხილავს სოციალურ მობილურობას მოკლებულ მარადიულ მსხვერპლად და ხელს უწყობს ადამიანებში კლასობრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. ამგვარი აზროვნება კი, პირველ რიგში, სწორედ მის მატარებელ ინდივიდებს ვნებს, ხელს უშლის მათ განვითარებას. ამდენად, პირველი მაისის საფუძველში არსებული ფილოსოფია თავისი შინაარსით მავნებლურია. გარდა ამისა, თუ ვამზობთ, რომ უნდა აღვნიშნავდეთ იდეოლოგიურ დღესასწაულებს, მაშინ რა დაშავეს სხვა იდეოლოგიებმა?

ქვეყანაში, სადაც პირველი მაისი ასოცირდება 70-წლიან ოკუპაციასთან და სადაც კლასობრივი მენტალიტეტის დანერგვა დიდ ზიანს მოუტანს ისედაც მძმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას, ამ დღის ოფიციალური აღნიშვნა მიზანშეწონილი არაა. ეს არ ნიშნავს, რომ ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება, არ ჰქონდეს მისი აღნიშვნის საშუალება - ისევე, როგორც ჩემი მეგობრები აღნიშნავთ ყველი წლის 2 მაისს, როგორც წმინდა ბეჟან მნიშვნელის სსენების დღეს. თუმცა, ამ დღის შესახებ - სხვა დროს.

თუ აჩა 1 მაისი, რასო სოცილებრბის ღლა?

■ ოფიციალურ დღესასწაულად ეს თარიღი საქართველოში სწორედ საბჭოთა რუსეთის მიერ დაინერგა. შესაბამისად, შეუძლებელია, საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს თარიღი არ ასოცირდებოდეს საბჭოთა ოკუპაციასთან და კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან, რასაც ასეულობით ათასი ჩვენი თანამემატეულებისას, მაშინ რა დაშავეს სხვა იდეოლოგიებმა.

ბოსტონის ტებულს ნავასისი ბავშვი

ვასო კუჭუხიძე

ბოსტონის მარათონის დროს განხორციელებული ტებული, რომელსაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ორასამდე დაშავდა, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აშშ-ის მოსახლეობისთვის რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ნათელი გახდა, რომ მკაცრი ანტიტერორისტული პოლიტიკის მიუხედავად თეთრმა სახლმა ვერ მოახერხა ტერაქტის თავიდან აცილება. მით უმეტეს, რომ თავდამსხმელები არ წარმოადგენდნენ ე.წ. პროფესიონალ ტერორისტებს და ანალიტიკოსთა აზრით, ტერაქტის მომზადების პროცესში მათ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, რაც საკმარისი უნდა გამხდარიყო მათი გაუვნებულყოფისთვის, თუმცა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ეს ვერ შეძლეს.

გარდა ამისა, ტერაქტი იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა მოაწყვეს, რომელთა არსებობის შესახებ ამერიკელთა უმრავლესობას არც კი სმენოდა. ჩეჩენეთში აშშ-ის აქტივიობა მინიმალურია, ამიტომაც ანალიტიკოსებს, ისევე როგორც ხელისუფლებისა თუ საბართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს გაუქირდათ იმის ახსნა, თუ რამ უბიძგა ორ ჩეჩენ ახალგაზრდას აშშ-ში ტერაქტის განხორციელებისკენ. მხოლოდ უმცროსი ძმის, ჯოხარ ფარნავის ალიარებამ გახადა ნათელი, რომ ტერაქტის მოტივი აშშ-ის ახლო აღმოსავლეთში გატარებუ-

ლი პოლიტიკა თუ წარმოებული იმებია და ის არავითარ კავშირში არ არის ჩეჩენეთთან.

ამერიკელთა უმრავლესობისთვის ასევე გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რამ მიიყვანა ორი ახალგაზრდა ჩეჩენი იმ ზომამდე, რომ უარი ეთევათ საკმაოდ პერსპექტიულ მომავალზე და ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულიყვნენ. უფროსი ძმა, 26 წლის ტამერლან ცარნაევი წარმატებით ახერხებდა სწავლისა და სპორტის შეთავსებას, ჰყავდა ამერიკელი მეუღლე და სამი წლის ქალიშვილი. უმცროსი ძმა ჯოხარი კი ერთი წლის წინ გახდა აშშ-ის მოქალაქეებისა და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიული სტიპენდიის მფლობელი. უბრალო ამერიკელებისგან განსხვავებით მხოლოდ ზედაპირულ ფაქტებზე დაყრდნობით არ გამოაქვთ დასკვნები ანალიტიკოსებს და სრული სურათის შექმნას ყურადღების რამდენიმე საკითხზე გამახვილებით ცდილობენ.

პირველ რიგში, ანტიტერორიზმით დაინტერესებული ექსერტები ხაზს უსამენ მზარდ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ტერორისტულ ორგანიზაციებს სულ უფრო უჭირთ პროფესიონალი ტერორისტების შეგზავნა დასავალეთის ქვეყნებში, ამიტომაც აქცენტს აკეთებენ ამ ქვეყნებში ემიგრანტთა მეორე თაობის წარმომადგენლობა ინდოქტრინაციაზე. გადმობირების შემთხვევაში ჩაყავთ ისინი ტერორისტულ ბანაკებში, სადაც მოხალისები რამდენიმეთვიან ინტენსიურ მომზადებას გადაინ. მართალია, ეს მოქლევადიანი „ტრენინგები“ არ არის საკმარისი პროფესიონალი ტერორისტის მოსამზადებლად, მაგრამ საკმარისია ე.წ. მარტოხელა მგლების შესაქმელად, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციის წევრებიც კი არ ხდებიან, დორექტივების გარეშე მარტო მოქმედებენ და მოქლევადიანი წვრთნის შედეგად ნაწავლი უნარების გამოყენებით შექმნილი „ბინდური ბომბის“ სამუალებით ცდილობენ დასავლეთის ქვეყნებში დაპრუნების შემდეგ ტერაქტების მოწყობას. სწორედ ამ მახასიათებლიდან გამომდი-



ინტერნეტ და მობილური განვი

internet
banking



mobile
banking

შეავსეთ მობილურის ბალანსი
მარტივად და სწრაფად,
საკომისიოს გარეშე

ნარე, ახალ ტენდენციას ანალიტიკოსებმა უწოდეს „ტე-რორიზმი დედის სამზარეულოში შექმნილი ბომბებით“.

ტერორისტების პირველი ნაბიჯი ახალგაზრდების შეჩრჩევა და მათი სუსტი მხარის პოვნაა. სწორედ ამ სი-სუსტებზე აქცენტირებით ინტერა იდეოლოგიური მუშა-ობა და გადმობირებისთვის ნიადაგის შემზადება. ძმები ცარნაჟის შემთხვევაში ეს სისუსტე ჩეჩენეთის უსაზღ-ვრო სიყვარული აღმოჩნდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ძმები ხშირად ესწრებოდნენ საღაფიტების შეკრუბებს, სადაც საუბრები მიდიოდა სხვადასხვა საკითხზე, რუსეთში მე-

ჩეთების არასაკმარისი რაოდენობიდან და-ნებული, ჩეჩენეთში ადამიანის უფლებების დარღვევის თემით დამთავრებული. სავა-რაუდოდ, სწორედ აյ მოხდა ტერორისტე-ბის მიერ ძმების შეჩრჩევა და შემდეგ მათი ინდოქტრინაცია. 2012 წელს უფროსი ქამა ტამერლანი უკვე დალესტანში იმუშავებოდა 6 თვით და ამერიკული სპეცსამსახურების დასკენით სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიში არსებულ ტერორისტთა ერთ-ერთ ბანაკში გაიარა სპეციალური მომზადება.

ძმები ცარნაჟების ჩეჩენური ნარმობა-ვლობის გარდა, სწორედ ტამერლანის ექვსთვიანში საეჭვო ვიზიტმა დაღლესტანში დაუკავშირა ტექრატი ჩრდილოეთ კავკა-სის რეგიონს, რომელიც მოსკოვის დიდი ნინაალმდევგობის მოუხედავად ისლამისტი ტერორისტებისთვის სულ უფრო მიმზიდ-ველი ხდება.

ჩეჩენეთის ორი ომის დროს რუსეთმა დი-დწილად შეძლო კონფლიქტის ლოკალიზე-ბა და არ დაუშვა საბრძოლო მოქმედებები მთელ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს მოდებოდა. მართა-ლა, დაღლესტანში ყალიბდებოდა შეიარაღებული დაჯგუ-ფები, რომელიც მეზობელ ჩეჩენებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ, თვით ჩეჩენი ბოევიკებიც ხშირად აფარებდნენ თავს მეზობელ რესუბლიკებს, მაგრამ რუ-სეთი დაღლესტანში სტაბილურობის შენარჩუნებას მაინც ახერხებდა. ჩეჩენეთის მეროვ ომის დასრულების შემდეგ რუსეთის სამხედრო და სადაზერვო სამსახურები წარმა-ტებით აგრძელებდნენ დაქასესულ მოწინაალმდევებსთან ბრძოლას. ბოევითა ბევრი ჯგუფი გაანადგურეს, ხოლო ვისი განადგურებაც უკრ შეძლეს, იმდენად დაასუსტეს, რომ რეგიონში სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს ველარ უქმნიდნენ და მხოლოდ იშვიათი ტერორისტული აქტებით ახერხებდნენ გაბრძოლებას. კრემლს სადაცები ხელივან მხოლოდ მას შემდეგ გაექცა, რაც ბრძოლის ასპარეზზე დოკუ უმაროვი გამოჩნდა.

2006 წელს უმაროვა თავი ჩეჩენეთის პრეზიდენტად გამოაცხადა და აქედან დაინტ დაძაბულობის ახალი

ტალღა ჩრდილოეთ კავკასიაში. პირველ რიგში, უმარო-ვმა ეთნიკურ კონფლიქტს რელიგიური ხასიათი შესძი-ნა. საბრძოლო და ფინანსური რესურსების მობილიზე-ბისათვის ეს საკმაოდ წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა. გარდა ამისა, 2007 წელს გავრცელდა ინფორმაცია კა-ვკასიური საემიროს შექმნის შესახებ, რომელიც ანული-რებას უკეთებდა კრემლის მიერ დადგენილ საზღვრებს და საკუთარ ფარგლებში ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის მთელ რეგიონს აერთიანებდა, ასევე არ ცნობდა რუსულ კანონმდებლობას და მხოლოდ შარიათს ემორჩილებოდა. ახალი იდეის ქვეშ გაერთიანება იწყეს არა მარტო და-ქსასულმა რეგიონულმა დაჯგუფებებმა, არამედ მთელ მსოფლიოში გაფანტულმა ჩრდილოეთ კავკასიელებმა. გარდა ამისა, ახალი რეალობა მიმზიდველი აღმოჩნდა გლობალური ჯიპადის მიმდევრებისთვის და რეგიონში შეაღწია არა მარტო მათმა იდეოლოგიამ, არამედ საკმაოდ დიდი რა-ოდენობით ფინანსებმა ამ იდეოლოგიის გასამყარებლად.

■ ტერორისტების პირველი ნაბიჯი ახალგაზრდების შერ- ჩევა და მათი სუსტი მხარის პოვნაა. სწორედ ამ სისუს- ტეებზე აქცენტირებით იწყება იდეოლოგიური მუშაობა და გადმობირებისთვის ნიადაგის შემზადება. ძმები ცარნაევის შემთხვევაში ეს სისუსტე ჩეჩ- ნეთის უსაზღვრო სიყვარული აღმოჩნდა.

დასავლური მედია ბოსტონის ტერა-ქტამდე ჩრდილოეთ კავკასიას დიდ ყუ-რადღებას არ უთმობდა. არადა ვითარება საგანგაშოა, რეგიონში გამეფებული კო-რუფულია, უმუშევრობის მაღალი მაჩვენე-ბელი და სოციალური უთანასწორობა მო-სახლეობის გარკვეულ ნაწილს, ძირითად შემთხვევაში ახალგაზრდებს, რადიკალუ-რი ისლამისენ უბიძებებს. ამით კარგად სარგებლობენ ჯიპადისტები და საკუთა-რი რიგების გაზრდას იოლად ახერხებენ, რასაც რუსეთი ჯერჯერობით ქმედითს ვერაფერს უპირისპირებს. მოსკოვის

მხრიდან განხორციელებული რეპრესიები და ძალის დე-მონსტრირება უკანასკნელი მომზანი აღმოჩნდა, აღტერ-ნატული სტრატეგიის შემუშავება კი კრემლმა ჯერ ვერ შეძლო. გარდა ამისა, რუსეთი საკუთარ საშინაო საქმე-ებში ჩარევად მიიჩნევდა და მწვავედ რეაგირებდა აშშ-ს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიიში მიმდინარე პროცესების მიმართ გამოთქმულ შემფოთებაზე.

ბოსტონში მომხდარი ტერატის შემდეგ კი ნათელი გა-ხდა, რომ რუსეთს მომავლში გაუჭირდება აშშ ჩრდილო-ეთ კავკასიის რეგიონიდან შორს დაიჭიროს, რადგან ცნობილია ამერიკელთა შეუვალი პოზიცია, როდესაც საქმე მათ ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება. ჩრდილოეთ კავკასია კი ამჯერად ნამდგოლად აღმოჩნდა კრემლთა ინტერესის არეალში. მართალია, მოსკოვი რუსულ მზა-დებულნას გამოთქმაში ამ საკითხში ვაშინგტონთან თანა-მშრომლობაზე, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, საკუთარი ტერორისტობის საკმაოდ მგრძნობიარე ნაწილზე აშშ-ს თა-ვისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს. □



ახალი მიმართულება თბილისი - დიუსელდორფი

2013 წლის 19 აპრილს, ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის FlyGeorgia-მ პირველი პირდაპირი ფრენა განახორციელა საქართველოდან, კერძოდ თბილისიდან, გერმანიის მეორე უდიდესი ქალაქის, დიუსელდორფის მიმართულებით. ახალი მარშრუტი, რომელიც თბილისიდან ხორციელდება პარასკევსა და ორშაბათ დღეს, გზას ხსნის ბიზნეს ინვესტირებისთვის, ტურიზმისა და ვაჭრობისთვის არა მარტო საქართველოში, არამედ ასევე მის მეზობელ რეგიონში. „ახალი მარშრუტი ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას და სტრატეგიულ განვითარებას. საქართველოსა და დიუსელდორფს შორის დიდი კავშირები არსებობს და აღფრთვანებული ვართ იმ უამრავი შესაძლებლობით, რომლებსაც ეს მარშრუტი იძლევა“, ამბობს FlyGeorgia-ს მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ბიჭან მოგური. საქართველოს ეკონომიკურ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზადია აღმოსავლეთ ევროპაში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო მე-9 ადგილზეა ბიზნესის მარტივი წარმოების მიხედვით და უკან იტოვებს ბევრ განვითარებულ და ინდუსტრიულ ქვეყნებს დასავლეთსა და აზიაში.

ეკონომიკური აღმავლობა საქართველოში და რეგიონში დაკავშირებულია საქონლის იმპორტსა და ექსპორტა. გერმანიიდან ავტომობილების და მასალების იმპორტი ასევე მთავარი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. FlyGeorgia-მ დაინახა დიუსელდორფის მიმართულებით ახალი რეისის გახსნის პოტენციალი და მისი გათვლების წყალობით ავტომიმპორტიორებს და შუამავლებს ახლა პირდაპირი კავშირი აქვთ ამ ბაზრებთან. თამარ მაშავა, შპს „რუსთავის ავტობაზრობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, აცხადებს რომ „რუსთავის ავტობაზრობა“ და „Autopapara“ მიესალმება FlyGeorgia-ს პირდაპირ ფრენებს დიუსელდორფიდან. როგორც მოგეხსენებათ, ავტომობილების უმეტე-

სობის ექსპორტი გერმანიიდან ხორციელდება, ასე რომ ეს ფრენები შეუმცირებს მგზავრებს დროსა და ხარჯებს, რომლებიც რეგულარულად მიემგზავრებიან გერმანიაში საქმიანი ვიზიტით, რაც საქართველოში ავტობიზნესს საგრძნობლად გააუმჯობესებს“.

ვაჭრობისა და სამრეწველო ბაზრის პოტენციურ ზრდასთან ერთად, Fly Georgia-ს ახალი მარშრუტი დიუსელდორფში საშუალებას აძლევს გერმანელ ტურისტებს პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობებთან. ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან ერთად, ბათუმის ლამაზი კურორტები და სანაპირო დიდებული და ეკონომიკური კარიბშე ხდება ევროპელი მოგზაურისთვის. ტურიზმი საქართველოში მისი ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი ხდება, სადაც მომსახურების სექტორი ქვეყნის შიდა პროდუქტის 65%-ს შეადგენს.

FlyGeorgia ქართული ავიაკომპანიაა, რომლის მიზანია საქართველო დააკავშიროს მსოფლიოსთან, ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის, ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით. ავიაკომპანიის მთავარი პრიორიტეტია უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიწოდება, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა მომსმარებლის მოთხოვნებს და გამართლებს მათ მოლოდინს. ამუამად FlyGeorgia 3 კონტინენტზე 10 მიმართულებით ასრულებს ფრენებს და დაბალ ფასად მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებით ცვლის საავიაციო ბაზარზე სრული მომსახურების შემცნებას.

FlyGeorgia

სისხლი

პაატა ქურდაძე

პარასკევს, 25 აპრილს ყოველდღიურმა ფრანგულმა „პარიზინმა“, გამოაქვეყნა სტატია სათაურით „პარიზი: ქართველი ბინის ქურდების ბანდა გავუვნებელყოფილია“, რომელიც იუწყება, რომ გასულ ოშაბათს, დილის 11 საათსა და 45 წუთზე პოლიციელებმა პარიზის მეთვრამეტე ოლქის ერთ-ერთი სახლის ბინის კარი შეანგრიეს და ორი კანონიერი ქურდი დააკავეს, რომელთაც წინააღმდეგობა არც კი გაუწევიათ.

იმავე დღეს პოლიციამ ბანდის დანარჩენი წევრებიც დააკავა. შვიდ ქართველ ქურდს გასული წლის მაისის შემდეგ, როგორც ჩანს 44 ბინა გაუტეხავს და 170 ათასი ევროს ქონება მოუპარავს. სტატიის ბოლოს ხაზგასმულია, რომ ბანდის წევრები ყველანი ტოქსიკო-მანგი არიან და მოპარულ კომპიუტერებს, აიპადებს, ოქროს სანთებელებს,... ძირითადად ნარკოტიკებში ცვლიდნენ.

როგორც „ახალი თაობის“ ქართული ემიგრაციის კულუარებში ამბობენ, ეს საბრალო შვიდეული კანონიერი ქურდები კი არა, ჩვეულებრივი კარგი გულის ბიჭები არიან, იმიტომ იპარავენ, რომ ცოტა ფული გაუგზავნონ გაჭირევულ ოჯახებს და რაც დარჩებათ, იმით ნამაღლი იყიდონ, რომ სამშობლოს სევდა ცოტა-თი მაინც გაიქარვონ.

რა სამარცხინოა – მითხრა მეორემ, სულ სხვა ტიპის ემიგრანტული კულუარიდან, თანაც ისეთი სახით, რომ „მიმინოს“ პერსონაჟი ნუგზარი გამახსენდა, რო-

მელსაც მოსკოვში მეტრო „ბაგრატიონთან“ გავლისას გული სიამაყით ევსებოდა, ზოგიერთი თანამემამულის ქცევის გამო კი – სირცხვილით...

სულ ორი დღით ადრე მიხეილ სააკაშვილის მომხრეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასევე „სირცხვილით დაიწვა“ ევროსაბჭოში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსკლის გამო. სამაგიეროდ, პრემიერის მომხრეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ზუსტად ისევე აევსო გული სიამაყით მათი ლიდერის გამოსკლის შემდეგ, როგორც ნაციონალებს ევსებოდათ თავიანთი ლიდერის ხილვისას ამავე ტრიბუნაზე.

უღმობელ სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ – ივანიშვილის თავდაჭრილმა გამოსვლამ ფრანგებისთვის ზუსტად ისევე შეუმჩნევლად ჩაიარა, როგორც ადრე სააკაშვილის მგზნებარე და პათეტიკური გამოსვლებმა, ან თუნდაც ზურაბ ჟვანიას ცნობილმა სლოვანმა – „მე ქართველი ვარ, მაშასადმე, მე ვარ ევროპელი,“ რომელიც სამარადისოდ ამიტვიფრა ქართველების, და არა სლოვანის ადრესატთა – ევროპელთა შემეცნებაში.

უნდა ითქვას, რომ ქართველი ქურდების ისტორია ბევრად უფრო მეტმა ფრანგმა გაიგო, ვიდრე ის „თავისმომჭრელი“ ამბავი, რომ პრემიერმა სტრასბურგში სიტყვა „ტუპიკი“ იხმარა ჩიხის ნაცვლად. არც პოლონელი ზბიგნევ გირშინსკის მიერ პროვინციული უბრალობითა და არადელიკატურობით დასმულ კითხვას პუტინის, სააკაშვილისა და ივანიშვილს შორის სიყვარულის დრამატული სამკუთხედის შესახებ გამოუწევია რაიმე განსაკუთრებული სეანდალი.... ყოველ შემთხვევაში, „პარიზინში“ გამოქვეყნებული ზემოთხენებული სტატიის შესახებ ფრანგი მკითხველის მიერ დატოვებული კომენტარები გვაფიქრებინებს, რომ მათ ქართველი პოლიტიკოსების რიტორიკა სულაც არ აინტერესებთ. მეტიც, ისინი ცოტა არ იყოს არასასიამოვნო კითხვებს სვამენ, რომელიც ზუსტად ერთნაირად შეეხება როგორც ძველი, ისე ახალ ხელისუფლებას... და საერთოდ ჩვენ ყველას. აი, მაგალითად: „საგულისხმოა, რომ მსგავსი ბანდები რატომდაც არასადროს არ არიან ისეთი ქვეყნებდან, როგორიცაა, დანია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, მალტა!“ და რეპლიკა „მადლობა ევროპას, შენგენს. რომ ჩვენი ქვეყანა საცერად აქცია!... გასათვალისწინებელია, რომ ეს ადამიანები იმ ფრანგი დეპუტატების ამომრჩევლები არიან, რომლებიც სტრასბურგში თავაზიანი



ლიმილით უსმენენ-ხოლმე თავიანთი აღმოსავლელი ევროპელი კოლეგების აღგზნებულ რეპლიკებს რუსეთთან მიმართებაში. საეჭვოა, მათზე რომელიმე კონკრეტული გამომსვლელის რიტორიკამ ისე იმოქმედოს, რომ თავის ამომრჩეველთან, რომელსაც ჯერ რიგიანად „ახალი ევროპის“ ქვეყნების განევრიანებაც ვერ მოუნილებია, საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებაზე ლაპარაკი გაძედოს.

საქართველოში არასდროს არ აინტერესებთ, თუ რა იცის საშუალო ფრანგმა, გერმანელმა, ინგლისელმა, ბელგიელმა საქართველოს შესახებ. თვლიან, რომ თუ ხოსე მანუელ ბაროზი, ან ვილფრედ მატინესი, რომელთა არსებობის შესახებ ევროპელების აპილუტურ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, მიშას მხარზე ხელს მოუთათუნებს, ეს საკმარისია, რათა ამავე ევროპელებმა ჩვენს ევროპელობასთან დაკავშირებით რადაც გადაწყვეტილები მიიღონ. ჩვენ ან გვავიწყდება, ან არ ვიცით, რომ ევროპელი ამომრჩევლები პოლიტიკოსების დაქნეულ თითზე ცხვრებივთ არ რეაგირებენ, ხოლო გზა სტრასბურგელი ფუნქციონერების გულებისაკენ სწორედ მათზე გადის.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი რაფაელ გლუკსმანი პიპულარულ რადიო „ფრანს ინტერნის“ ეთერში, რომელსაც რამდენიმე მილიონი მსმენელი ჰყავს, ამტკიცებდა, რომ ქართველების უმტკიცესობა განგსტერები არიან. დღეს შვიდი ქართველი დაჭირეს ქურდობაზე, სულ ახლახან კიდევ ოცდაათი... საფრანგეთში დღეში საშუალოდ 1000 ბინას ტეხენ ყველა ეროვნების ქურდები.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ რომელიმე გამოცემის დაინტერესების შემთხვევაშიც კი, პოლონელი ზბიგნევ გირშინსკის აროგანტული კითხვა ვინმეზე უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ქართველი ტოქსიკომანი ქურდების ამბავი, ძალიან შეცდება. განსაკუთრებით ფრანგული რეგიონალური მედია სავსეა „პარიზიენის“ მსგავსი პუბლიკაციებით ქართველი კრიმინალების შესახებ, ისინი ნამდვილად „უგებენ“ სამწუხარო „პოპულარობით“ ქართულ კულტურასა და დიპლომატიას.

ორიოდე თვის წინ თითქმის მთელი ფრანგული ბეჭდებით და აუდიო-ვიზუალური მედია, მათ შორის, ნაციონალური ტელეარხები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოდან სპეციალურად ჩამოდიან ტუპერკულობით დაავადებული, ითხოვენ

პოლიტიკურ თავშესაფარს და მაშინვე საავადმყოფოში წვებიან; მათი მკურნალობა ქვეყანას, რომლის სოციალურ სამედიცინო სადაზღვევო სისტემას ისე-დაც უზარმაზარი ფინანსური დეფიციტი აქვს, ძალიან ძვირი უჯდება, რომ ყველაფერთან ერთად ისინი საფრანგეთისთვის სანიტარულ საშიშროებას წარმოადგენი.

საქართველოს წინა ხელისუფლების მომხრეები, რომლებსაც საშინალად შერცხვათ სტრასბურგში ახალი ხელისუფლების ლიდერის გამოსვლისა, რამდენიმე დღის წინ, 19 აპრილს რუსთაველზე ამაყობდნენ,

რომ საქართველოს ტერიტორიაზე კრიმინალი დაამარცხეს... მათ სრულიად არ რცხვნობათ, რომ მათ ქვეყნას არ შეუძლია ტუბერკულოზის უმდიმესი ფორმით დაავადებულ საკუთარ მოქალაქეებს მოუაროს, რის გამოც ისინი იძულებული არიან გაიქცნენ და იმ ქვეყნების გადასახადების გადამხდელთა ჯიბეს დააწენენ მძიმე ტვირთად, რომლებიც, საავალილის თქმით, სულ ცოტა ხნის წინ, ანუ ოქტომბრამდე „საქართველოს ბედს შენატროდნენ“. სრულიად არ რცხვენიათ, რომ სწორედ მათი მმართველობის პერიოდში სიღატაკეს, სოციალურ კატასტროფასა და რეპრესიებს გაქცეული ქართველები იმ ეროპელების ბინებს ქურდავენ, რომლებმაც პიპოტეტურად, ოდესშე ხმაუნდა მისცენ ჩვენს ევროკავშირში გაერთიანებას, და რომლებსაც საქართველოს შესახებ წარმოდგენას ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლები, ტრაბახი ან ბრალდებები ვერანაირად ვერ შეუქმინის.

პრემიერ-მინისტრს მსგავსი გამოსვლები ჩვეულებრივი სამუშაო ფორმალური პროცესის წანილია, რასაც მშენივრად ართმევს თავს წებისმიერი ქართველი ლიდერი – ძველიც და ახალიც. ამ გამოსვლებისათვის გადამტებული ყურადღების მიქცევა, ჩემი აზრით, არ ლირს. ევროპელ ამომრჩევლს, როგორც წესი, უცხო ქვეყნების ლიდერები ვერ ატყუებენ.

საქართველოს რეალური რეფორმები, რეალური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებები სჭირდება, რომ ნამდვილი, ცოცხალი ადამიანების, და არა ლობისატი პოლიტიკოსების სიმპათიები დამსახუროს და ქვეყანა ბოლოსდაბოლოს განთავისუფლდეს ყველაზე მტანჯველი – საკუთარი თავის, და არა ევროპის მიმართ აბსურდული სირცხვილისგან. ■



ავტორი: ლილი სარეკოლიაშვილი

"ცნობა გავფიქროთ პირობისას ცხადზე"

ინტერვიუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“
აღმასრულებელ დირექტორ
ეკა გიგაურთან

19 აპრილს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო შრომის კოდექსის ცვლილებები. რა შენიშვნები ჰქონდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შრომის კოდექსის პროექტზე?

შრომის კოდექსის შეცვლა ცალსახად პოზიტიურია. ამდენი ხნის განმავლობაში ვამბობდით, რომ არსებული შრომის კოდექსი დასაქმებულების უფლებებს არ იცავს და, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს. ამაზე საუბრობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

მაგრამ, მგონია, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავიდეთ. დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე კარგი იქნება ოქროს შუალედა ავილოთ და შრომის კოდექსი ამის მიხედვით შევცვალოთ. არის რამდენიმე მომენტი წარმოდგენილ ვარიანტში, რომელიც დამსაქმებელს ცუდ ძიგომარეობაში აყენებს. ჩენი მთავარი მიზანი ალბათ ისიცაა, რომ ბიზნესგარემომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბევრი სამუშაო ადგილი შექმნას. არ მგონია მიზანი შენონილი, ისეთი დეპულებები შევიტანოთ შრომის კოდექსში, რომლებმაც, შესაძლოა, ეს პროცესი შეაფერხოს.

რაც შეეხება ცვლილებებს, ვადიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დებულებას არ ვეთანხმებით. ერთი მხრივ, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია მოქლევადიანი დასაქმები დროს გარკვეული რეგულაციები გვქონდეს, გვახსოვს რა პრობლემები იყო მასწავლებლებთან და უურნალისტებთან დაკავშირებით და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია ეს გაიწეროს, თუმცა თუკი შეხება გვიწევება გრძელვადიან ხელშეკრულებებთან ანუ ისეთ ხელშეკრულებებთან, რომლებიც ორი, სამი ან ექვსი წლის განმავლობაში იდება, ამ შემთხვევაში დამსაქმებელს მეტი მოქნილობა უნდა მივცეთ და ზედმეტი რეგულაციები არ შემოვიტანოთ.

ვფიქრობთ, ზეგანაკვეთური შრომის საკითხები და ამასთან დაკავშირებული გადასახადები განერილი უნდა იყოს კანონში და შრომით ხელშეკრულებაში. დაბალი ხელფასის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნას ზეგანაკვეთური გადასახადები, მაგრამ თუკი საუბარია დიდ ხელფასებზე, მაშინ დამსაქმებელს უფრო მეტი მოქნილობა უნდა ჰქონდეს. მან შეიძლება დასაქმებულს სხვა ბენეფიტები, მაგალითად, არაფულადი სახით

დამატებითი სარგებელი მისცეს.

რაც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულებებს, აქაც შეიძლება გარკვეული ცვლილება შევიდეს წარმოდგენილ პროექტში. ვფიქრობთ, რომ კოლექტიური ხელშეკრულებები უნდა დაიდოს არა მხოლოდ პროფესიონალების წევრებთან, არამედ თვითორგანიზებულ ჯგუფებთანაც, არ არის აუცილებელი ადამიანი პროფესიონალების წევრი იყოს.

აյ იყო ასევე საუბარი დასვენების დღე-ებზეც. ერთი მხრივ, განსაზღვრულია 50 საათიანი სამუშაო კვირა, თუმცა, მასში შეიძლება შევიყვანოთ დასვენების დღეებიც, რადგან ზოგიერთი დაწესებულება მუშაობს თავისი გრაფიკით და ამიტომ ამ ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა დროის და კვირის სხვადასხვა მონაკვეთებში იმუშაონ. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით დამსაქმებლის ისტორიის გარკვეული სირთულეების შექმნა, ვფიქრობ, არასწორია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მტკიცების ტკირთი. თუკი ადამიანი მიმართავს სასამართლოს და ამბობს, რომ მასზე განხორციელდა დისკრიმინაცია, შესაბამისად, უნდა დაამტკიცოს ეს და მტკიცების ტკირთი არ უნდა გადავიდეს დამსაქმებელზე, ესეც ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია შრომის კოდექსში. ვესაუბრეთ ბიზნესასოციაციის ბევრ წარმომადგენელს, რა თქმა უნდა, მათ არ სურთ შრომის კოდექსის შეცვლა.

არის თუ არა მასში გათვალისწინებული თქვენი ორგანიზაციის შენიშვნები?

გავაკეთეთ განცხადება საქართველოს პარლამენტში, ვიყავით საკომიტეტო მოსმენაზე და ჩვენი წინადადებები გავაუდერეთ. მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტრომ შრომის კოდექსი წარმოადგინა, პროექტმა გარკვეული ცვლილება განიცადა. იუსტიციის სამინისტრო შეხვდა ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებს და გარკვეული შენიშვნები გაითვალისწინა. თუმცა ძირითადი დებულებები მაინც რჩება შრომის კოდექსში და ვფიქრობ, რომ მასზე კონსესუსი უნდა შედგეს.

ითვალისწინებს თუ არა ახალი შრომის კოდექსი უმუშევრების ინტერესებს?

ეს არ არის ის კანონი, რომელშიც უმუშევრების ინტერესები უნდა იყოს ასახული. ვფიქრობ, დღევანდელი შრომის კოდექსი

უფრო მეტად დასაქმებულების დაცვაზეა ორიენტირებული. არ მსურს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და, მით უმეტეს, შრომის კოდექსთან დაკავშირებით, მეორე უკიდურესობა გვქონდეს.

თქვენი ორგანიზაცია აკვირდება შუალედურ არჩევნებს. ნაძალადევის ოლქში იყო პრობლემები. იყო თუ არა ამ პრობლემებზე რეაგირება და როგორ მიმდინარეობს პროცესი?

ჩვენ დავაკირდებით ყველა ოლქს, სადაც არჩევნები იქნება, გვეყოლება მობილური ჯგუფები და მათი საშუალებით დავაკირდებით, თუმცა არ იქნებიან საერთაშორისო დამკირვებლები. რაც შეეხება, პრობლემებს, ვერ ვიტყოდი, რომ ისეთივე პრობლემები გვაქვს, როგორიც წინასაარჩევნო პერიოდში გვქონდა, შედარება არც შეიძლება, თუმცა, რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტი მაინც ვნახეთ. ერთ-ერთი ის, რაზედაც განცხადება გააკეთა ცენტრალურმა საარჩევნო კომისამისი ინიციატივით მდივნების დანიშვნასთან დაკავშირებით.

შეგვიძლია ვისაუბროთ იურიდიული ტერმინებით და გაეარჩიოთ, რამდენად მართალი იყო ერთი ან მეორე მხარე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ცვლილებები რომლითაც მდივნების დანიშვნის წესი განისაზღვრა, ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ თავის დროზე, 2009 წელს ოპოზიციასთან მოილაპარაკა და შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო კომისიებში ადგილებზე ოპოზიციის წარმომადგენელი მდივნები იყვნენ.

ნაციონალური მოძრაობა ისეთ ჩანაწერებს აკეთებდა, რომელიც ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძელეოდა და სამომავლოდ მათი გამოყენება სხვადასხვანაირად შეიძლებოდა. ახლა ფაქტობრივად ამ ჩანაწერების გამო მათ თავად შექმნათ პრობლემა. თუმცა, რადგან სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია დავიცვათ ის სულისკეთება, რომელიც არის კანონში და უზრუნველვყოთ, რომ მდივანი ოპოზიციის წარმომადგენელი იყოს. ამ ყველაფერს შემდეგ მოჰყვა ძალას არასასიამოვნო ტენდენცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან, როცა ჩვენ არაკომპეტენტურობაში და პოლიტიკური ინტერესების გატარებაში დაგვადანაშაულა. არასერიონზულია, როდესაც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“,

„სამართლიან არჩევნებს“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ აბრალებ, რომ ნაციონალური მოძრაობის ინეტრესებს ატარებენ.

თქვენ ხართ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომლის თავმჯდომარეულ პრემიერ-მინისტრია. საუბარია იმაზე, რომ შეჩერდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. რომელ პროექტებზეა საუბარი და რა არის მათი შეჩერების მიზანი?

მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვარ, ფონდის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრია და ფონდში ყველა შესაბამისი უწყების ნარმომადგენლები არიან, მათ შორის ფინანსთა, ეკონომიკისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროდან. ვსაუბრობდით ძალიან ბევრ პრობლემაზე, რომელიც არსებობს იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაიწყო.

ზოგი პროექტი მართლაც მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან დაკავშირებული იყო რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. ნამდვილად საჭირო ინიციატივები იყო და როგორც ვიცი, ეს მშენებლობები ახლაც მიმდინარეობს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მშენებლობის ხარისხი არ იყო დამაკამაყოფილებელი. ამას ბევრილად წინა ხელისუფლების პოლიტიკა განაპირობებდა, როდესაც კომპანიებს სთხოვდნენ გარკვეული დღესასწაულებისთვის დაემთხვიათ ამათუ იმ ობიექტების დასრულება. შესაბამისად, ახლა რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი ცდილობს, ეს ობიექტები გადმოიბაროს. გვესმის ამ კომპანიების წუხილიც, მათ იცოდნენ, რომ მშენებლობა იმ დროში, რა დროშიც ხელისუფლება მოითხოვდა, ვერ დასრულდებოდა.

მაგალითად, ერთი პროექტი იყო ნაპირგასამაგრო სამუშაობი ბათუმში და თეთრი ქვიშის პლაიაჟის მოწყობა, სადაც ნაპირგასამაგრო სამუშაოების ღირებულება ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე თვითონ ამ თეთრი ქვიში პლაიაჟის მოწყობა. ერთი მხრივ, არავინ საუბრობს იმაზე, რომ ნაპირის გამაგრება არ არის საჭირო და ვიცით, რომ ზღვის ზოლში ეს სამუშაოები გასაკეთებელია, მაგრამ მეორე მხრივ, ღირს თუ არა დაახლოებით 30 მილიონ ევროზე მეტი დაჯდეს თეთრი ქვიშის

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავიდეთ, დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე კარგი იქნება ოქროს შეალება ავილოთ და შრომის კოდექსი ამის მიხედვით შევცვალოთ.

0308 iOS-0ს0308



ლიტერატურული - ბელქ ჟურნალის iPhone, iPad და iPod Touch-ზე

0308 წელის 9 ნოვემბრის!

0308 წელის პირველი ნოვემბრის!

www.lit.ge

0308 iOS-0ს0308 სამართლებას გადასცვის განხილვაზ 030016700 lit.ge-b 60365680 მა კონფიდენციალური 033366 iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადაღებისას და 0308 მონიტორის დოკუმენტის iTunes-ზე მიმღებ „IOTA READER“



პლიაჟი? ვცდილობთ გავერკვეთ, რამდენად მიზანშენილია გარკვეული თანხის ხარჯვა ისეთ პროექტებზე, რომელმაც გრძელვადიან პერიოდში შეიძლება შედეგი არ მოიტანოს. სახელმწიფო ბიუჯეტი ამოუწურავი არ არის, ამიტომ უნდა დავფიქრდეთ პრიორიტეტებზე. ასევე საუბარი იყო ხიდებზე თბილისი, მცხთაში, ეს პროექტებიც დაფიქრებას საჭიროებს. ეს არ ნიშნავს, რომ ხიდები არ გვჭირდება, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რამდენად მიზანშენილია ხიდების აშენება. ამ პრობლემის წინაშე დგას მუნიციპალური განვითარების ფონდი. ძალიან ბევრი კარგი რამ გაეკვიდა, თუმცა ზოგიერთ პროექტთან დაკავშირებით ბევრი კითხვაა დარჩენილი.

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პრძანებით თვითმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. მანამდე სამინისტრომ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს თვითმმართველობის რეფორმის კონცეფცია გააცნო. თუ იცნობთ კონცეფციას და რა შენიშვნები გაქვთ მასთან დაკავშირებით?

ჩვენ ჩართული ვართ იმ სამუშაო ჯგუფში, რომლის კოორდინაციასაც რეგიონალური განვითარების სამინისტრო ახდენს. ვმონაბილეობთ საარჩევნო ნაწილში და ბიუჯეტის პროექტში. ამ მიმართულებით რამდენიმე შეხვედრა ჩატარდა, ჯერჯერობით არაფერია კონკრეტული, თუმცა მუშაობა მიმდინარეობს. ეს ძალიან პოზიტიური ნაბიჯია, რადგან ნამდვილად გვჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, ადგილზე მმართველ რგოლებს მეტი უფლებამოსილებები უნდა მივცეთ.

მაგრამ წელიწადნახევარში ამ ყველაფრის ორგანიზება ძალიან მხელი იქნება. რეგიონებში გვაქვს ოფისები, ადგილობრივი თვითმმართველობების გამჭვირვალობის საკითხებზე ვმუშაობთ. ვფიქრობ, ძალიან დიდი პრობლემები იქნება იქ კადრების მომზადებასა და გადამზადებასთან დაკავშირებით. როცა უფრო მეტ უფლებამოსილებას აძლევ ადამიანებს, მათ უფრო მეტი კვალიფიკაცია სჭირდებათ. შესაბამისად, მათი სწავლება და ტრენინგი მნიშვნელოვანი იქნება. ამასაც ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ეს პროექტი უფრო რეალისტურ ვადებში გავწეროთ.

თქვენი ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული კონკურენციის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. 2012 წელს კვლევაც გამოაქვეყნეთ, სადაც საუბარი იყო სხვადასხვა ბაზრებზე არსებულ პრობლემებზე. ცნობილია, რომ კონკურენციის პოლიტიკაზე არსებითი ზედანხედველობა არ ხორციელდებოდა. გასულ წელს მივიღეთ კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ შესახებ, თუმცა ახლა ისევ არის საუბარი საკანონმდებლო ცვლილებებზე. რა არის ის ფაქტორები, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას უშლის ხელს როგორც საკანონმდებლო ისე ინსტიტუციურ დონეზე?

ჯერ კიდევ წინა მთავრობის დროს, როგორც კი მიიღეს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხუთწლიანი გეგმა, მისი ანალიზი დავიწყეთ და სწორედ ამ გეგმის ფარგლებში შემუშავდა ის კანონი, რომელიც დღეს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ მოქმედებს. თავის დროზე დავწერეთ შენიშვნები ამ კანონთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანი შენიშვნა ანტიმონპოლიური სამსახურის დაკინიება იყო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს სამსახური ძლიერი და მოქნილი იყოს.

ახლა ვენინააღმდეგებით პარლამენტის განცხადებას ახალი კანონის შექმნის თაობაზე, რადგან ვთვლით, რომ ძველი კანონი გარკვეულ პოზიტივებს შეიცავს და საკმარისი იქნებოდა მასში ცვლილებების შეტანა.


როგორც ვიცით, ეს კანონპროექტი მაღლიერებას აკონტინუაციის სამინისტროსგან ინიცირებული გაზრდილი უფლებამოსილება ექნება კონკურენციის სააგენტოს, ის გამოყოფა შესყიდვების სააგენტოს. ეს იქნება დამოუკიდებელი უწყება ძალიან დიდი დისკრეციით. მას ასევე ექნება პროექტიულად მოქმედების უფლებამოსილება.

მეორე მხრივ, მარტო კანონებით არ იფარგლება ეს ყველაფერი, საჭიროა პოლიტიკური ნება. თუკი პოლიტიკური ნება იქნება, ჩემი აზრით, ამ ინსტიტუციას მაღლევ შეეძლება აქტიური საქმიანობის დაწყება. ჩვენი ორგანიზაცია საუბრობდა ფარმაცევტულ, საწავავის ბაზარზე მონოპოლიებზე და ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ■

ესაუბრნენ: თინა ყიფშიძე, თათია ხალიანი

■ ყველაზე მნიშვნელოვანი განი შენიშვნა ანტიმონიკოლიური სამსახურის დაკინიება იყო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს სამსახური ძლიერი და მოქნილი იყოს.

STAY HEALTHY



If you are willing to live a healthy life, our Fitness Room with its carefully created Fitness Menu is the exact decision!

What's so important,
it is always fresh and will
help you gain energy
before and after work-out.



1, 26 May Square, 0171 Tbilisi, Georgia
T: +995 32 2300099
www.hi-tbilisi.com


Holiday Inn
TBILISI



ივანიშვილის ებიცუ სტასტისმი

სამშაბათ ნაშუადლევს ბიძინა ივანიშვილი აღელვებული ჩანდან – ორივე ხელით ეჭიდებოდა ტრიბუნას და ერთი ფეხიდან ხშირად ინაცვლებდა მეორეზე. წინა დღეს ინტერვიუში მითხრა – დარწმუნებული ვარ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე საუბარი საქართველოში საჯარო გამოსვლებზე იოლი იქნება.

სილვია შტიობერი

პრემიერმა სიტყვა ფრანგულად დაიწყო და შე-
მდეგ ქართულზე გადავიდა.

მან საქართველო ევროპული თანამეგობრობის
ნაინილად წარმოადგინა და რუსეთთან კონფლი-
ქტის მოგვარებაში დახმარება ითხოვა. სწორედ
ამავე საკითხებზე, ოლონდ უფრო პათეტიკურად
საუბრობდა მიხელ სააკაშვილი სამი თვის წინ
ამავე ტრიბუნიდან.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეცდომე-
ბსა და გადაცდომებზე პრემიერ-მინისტრმა ისე
ისაუბრა, სააკაშვილის სახელი არ უსხენებია. მან
ილაპარაკა ელიტარულ კორსუფიაზე, ძალაუ-
ფლების ცენტრალიზებასა და ადმინის უფლე-
ბათა დარღვევებზე, თუმცა ისიც განაცხადა, რომ
მისი მთავრობა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას-
თან თანამშრომლობას ცდილობს.

ივანიშვილის გამოსვლა ევროსაბჭოში ბევრს
მოწონა. ანდრეს ჰერკელი, კონსერვატორული
ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელი ეს-
ტრინეთიდან „ლიბერალს“ პასუხისმას: „მან კარგი
გადაწყვეტილება მიიღო. ბევრი არ ულაპარაკა,
თუმცა ყველა შეკითხვას უპასუხა. მშობლოურ
ენაზე გამოსვლაც კარგი გადაწყვეტილება იყო.“

„თავმდაბალი, ღადა და გულწრფელი“, – ივანიშ-
ვილის გამოსვლით პოზიტიურად გაკირკვებული
ჩანდა „ლიბერალთან“ საუბარში ევროსაბჭოში
სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე, შევიცა-
რელი ანდრეას გროსი: „ის კარგად ხედავს საკუ-
თარი ქვეყნის პრობლემებს, სირთულეებსა და
წინააღმდეგობებს. დამაჯერებელია, როცა ამბო-
ბს, რომ ურთულესი პრობლემების მოგვარებასაც
მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს.“

ანდრეას გროსი იანვარში პრეზიდენტ სააკაშ-
ვილის სიტყვით გამოსვლასაც ესწრებოდა: „ივა-
ნიშვილი ძალიან განსხვავდებოდა სააკაშვილის
ხმაურიანი და არტისტული გამოსვლიდან. პრე-
ზიდენტი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო
ფეხზე ლამის ძლივს იდგა, რიტორიკით ყველას
და ყველაფრის დაჯაბნა უნდოდა და ცდილობდა
დავერწმუნებინეთ, რომ ყველაფერს აკონტრო-
ლებს.“

ანდრეას გროსმა იმედი გამოთქვა, რომ შე-
მოდგომაზე ქართველი ხალხი ისეთ პრეზიდენტს
აირჩივს, „ივანიშვილს ხელს რომ აღარ შეუშლის
და ქვეყნის დემოკრატიზაციას არ დააზარალებს.“

გერმანელი დეპუტატი მარინა შესტერიც, რო-
მელიც ევროსაბჭოში ლიბერალ-დემოკრატიული
ალიანსის (ALDE) წევრია, პრეზიდენტსა და პრე-
მიერ-მინისტრს ადარებს: „ივანიშვილის გამოსვლა
მშვიდი და საქმიანი იყო. მხოლოდ ამითაც კი ბე-
ვრად განსხვავდება სააკაშვილისაგან. მან ხაზი

გაუსვა აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისა
და ოპოზიციასთან კოპაპიტაციის მნიშვნელობას.
ჩვენ ვიმედოვნებთ, რეფორმები და საკანონმდე-
ბლო წინადადებები მოქალაქეთა უფლებებსა და
პოლიტიკურ პროცესში მათ ჩართულობას გაა-
ძლიერებს.“ შესტერი აღნიშნავს, რომ ოქტომ-
ბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სიტუაცია
მაინც დაძაბულია. „ორ ბანაკს შორის ძალაუფლე-
ბისთვის ბრძოლა განსაკუთრებით მძიმედ რეგიო-
ნებში მიმდინარეობს,“ – დასძენს ის.

„ქართულ ოცნებასა“ და ერთიან ნაციონალურ
მოძრაობას შორის არსებული დაძაბულობა ივა-
ნიშვილისათვის დასმულ ზოგიერთ შეკითხვაშიც
იგრძნობოდა. დეპუტატები დაინტერესდნენ ჩიო-
რა თაქთაქშვილზე თავდასხმის, შერჩევითი სა-
მართლისა და მოსამართლეების მანდატის ვადის
გასვლამდე შეცვლის საკითხებით.

ივანიშვილი სტრასბურგში უფრო ღადა შთა-
ბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე მისი პირველი
უცხოური ვიზიტისას ბრიუსელში ოთხი თვის
წინ. ერთ-ერთი მიზეზი, აღბათ, ისიც იყო, რომ
კრიტიკა და სკეპტიციზმი, რაც, განსაკუთრებით,
კონსერვატორი პოლიტიკოსებისგან დასაწყისში
ისმოდა, ივანიშვილთან პირადი ნაცნობობის შემ-
დეგ შერბილებულია.

ასამბლეის წინაშე გამოსვლამდე ერთი ღლით
ადრე ივანიშვილი „ლიბერალს“ შვედეთის საგა-
რეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდეტან, ესტო-
ნეთის პრეზიდენტ ტომას ჰენდრიკ ილვესთან
და სხვა ევროპელ პოლიტიკოსებთან მოუნდენის
სიახლოეს რო კვირის წინ გამართული შეხვე-
დრის შესახებ ესაუბრა. მოლაპარაკებები დამა-
ბულ ვითარებაში დაწყებულა, თუმცა პრემიერის
თქმით, დღის ბოლოსთვის ყინული გადნა და სა-
აკაშვილთან დაკავშირებულ სირთულეებზე ღიად
ისაუბრეს. ტომას ჰენდრიკ ილვესმა პრემიერი ეს-
ტონეთში მინიჭია. როგორც პრემიერმა აღნიშნა,
შვედეთის საგარეო საქმეთა მინსტრთანაც მჭი-
დრო თანამშრომლობას აპირებს.

ევროპელი პოლიტიკოსების ივანიშვილისადმი
დამოკიდებულების ცვლილება საქართველოს სა-
გარეო პოლიტიკას არ ცვლის. „ჩვენ ზუსტად ისე-
ვე ვაგრძელებთ, როგორც დავიწყეთ. უბრალოდ,
ახლა სხვებმაც დაიჯერეს, რომ სააკაშვილისგან
არასწორ ინფორმაციას იღებდნენ,“ – ამბობს
პრემიერი. თუმცა, ისიც ცხადა, რომ ბიძინა ივა-
ნიშვილისადმი უნდობლობა ევროპაში კვლავაც
არსებობს. ამასობაში კი პრეზიდენტმა სააკაშ-
ვილმა ბოლო ამერიკული ვიზიტით საპაექროდ
კიდევ ერთი ველი მონიშნა, სადაც ივანიშვილის
მთავრობას სერიოზული მუშაობა მოუწევს. ც

■ ივანიშვილი სტრასბურ-
გში უფრო ღადა შთაბეჭდი-
ლებას ტოვებდა, ვიდრე
მისი პირველი უცხოური
ვიზიტისას ბრიუსელში
ოთხი თვის წინ. ერთ-ერთი
მიზეზი, აღბათ, ისიც იყო,
რომ კრიტიკა და სკეპტი-
ციზმი, რაც განსაკუთრე-
ბით, კონსერვატორი პოლ-
იტიკოსებისგან დასაწყისში
ისმოდა, ივანიშვილთან
პირადი ნაცნობობის შემ-
დეგ შერბილებულია.

აფხაზები სიონი

ხალხი, რომელმაც მუჭაჯირობა გადაიტანა, რის შედეგადაც საკუთარ მიწაზე ეთნიკურ უმცირესობად იქცა, შემდეგ კი – საქართველოსთან დაუნდობელი შეიარაღებული კონფლიქტი, საკუთარ მცირერიცხოვნებას ტრაგედიად აღიქვამს.

დემის პოლანდოვი, რადიო „ეხო კავკაზი“-ს აფხაზური ბლოკის რედაქტორი, რადიო „თავისუფლების“ მიმომხილველი

როცა მიხეილ სააკაშვილი ქართულ მეტყველებაში ფრაზას - „მომავალ წელს – სოხუმში“ ნერგავდა, ალბათ არ უფიქრია, აფხაზებისთვის რამდენად „მტკიცენულ კოურს“ აბიჯებდა. ექს-ცენტრულ ქართველ პრეზიდენტს არეალად საქართველო ოვალში ეპატარავებოდა, აფხაზეთში დარჩენილ ადამიანებს სააკაშვილი უბრალოდ არ იმჩნევდა. მის მეტყველებაშიც ჩანდა, თითქოს სოხუმიდან ენგურამდე არავინ ცხოვრობდა.. თუმცა ახლა საქართველოს პრეზიდენტზე არ ვწერ, ეგრეთ წოდებული აფხაზი მუჭაჯირების შთამომავლების რეპატრიაციის თემას, აფხაზეთის ნაციონალური იდეის ამ უდაოდ დასაყრდენ ელემენტს შევეხება.

ხალხი, რომელმაც მუჭაჯირობა გადაიტანა, რის შედეგადაც საკუთარ მიწაზე ეთნიკურ უმცირესობად იქცა, შემდეგ კი – საქართველოსთან დაუნდობელი შეიარაღებული კონფლიქტი, საკუთარ მცირერიცხოვნებას ტრაგედიად აღიქვამს.

იმპერიის მიერ ორად გაგლეჯილი ეთნოსი, ბუნებრივია, ხელახლა „შეერთებას“ ისე უყურებს, როგორც ისტორიული სამართლიანობის ადგენის საკითხის მნიშვნელოვანებას რაციონალური მოსაზრებებიც ემატება – თანამედროვე აფხაზეთში შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მონაცემების ფონზე აფხაზთა დიდი დიასპორა თურქეთში და ახლო აღმოსავლეთში ფაქტორივად ერთადერთ დე-მოგრაფიულ რესურსად რჩება.

თუმცა იდეალურისა და რაციონა-

ლურის პარმონიული თანხვედრაც კი ხშირად რეალობასთან შეხვედრისას იმსხვრევა. დღეს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის 20 წლის თავზე და აფხაზეთის მიერ საქართველოსგან ფაქტორივი დამოუკიდებლობის შემდეგაც კი, აფხაზების სამშობლოში რეპატრირების პროცესს ნარმატებულად მხოლოდ ის შეაფასებს, ვისაც დიდი ოპტიმიზმი ბუნებრივ თვისებად დაჟყვა, ან თანამდებობით ერგო, თანამდებობით, რომელიც რეპატრიაციის ნარმართვას უკავშირდება. ამ უკანასკნელთა რიგებში ამ ორიოდე კვირის წინ კლება მოხდა – (საკუთარი სურვილით, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება-ხოლმე) გადაყენეს რეპატრიაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ზურაბ ადლეიბა. სწორედ ბედის ირონია იყო, რომ ამ გადაყენებას ფაქტორივად დაემთხვა ომის შემდგომი პერიოდის აფხაზეთში რეპატრიანტების უცელაზე დიდი ჯგუფის დაბრუნება – ოდესალაც თურქეთში გასახლებულ აფხაზთა 145 შთამომავალი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული სირიიდან დაბრუნდა.

აფხაზეთში ამ ამბავს ბევრი დიდ მილწევად, რეალურ გარღვევად თვლის. და, მართალია, ჩამოსულები ბევრი არ არიან (მით უფრო, თვით დიასპორის სიდიდის გათვალისწინებით, რომელიც საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა ოდენობას რამდენჯერმე აღემატება), ძნელია, ამ შეფასებას არ დაეთანხმო. საქმე მხოლოდ რაოდენობაში არ არის. ფაქტი, რომ ამგვარი დაბრუნება შესაძლებელი გახდა, თავისთავად

ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შესახებ ძალიან კარგად წერს აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი ახრა ბჟანია საკუთარ ფეისბუკერდზე: „რამდენიმე კვირის წინ ჩემთვის რომ ეთქვათ, რომ სირიელი აფხაზების გადაყვანა მესამე ქვეყანაში, მათ სიებთან და დოკუმენტებთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარება, ამ საქმისათვის სამოცდათი ათასი დოლარის შეგროვება, აფხაზი მოხელეების შეფუცხუნება, ჩარტერული რეისის შეკვეთა და ადლერიდან აფხაზეთში 150 მგზავრის ჩამოყანა შესაძლებელია, ვიტყოდი, ეს ადამიანი ბოდავს-მეთქი, მაგრამ დღეს ეს უკვე შემდგარი ფაქტია და ახლა ქუდის ვიხდი იმ ადამიანების წინაშე, ვინც ამ პროექტს ლოკომოტივად ექცა.“

ადამიანები, რომელთაც ბჟანია და სხვა მრავალნი აფხაზეთში ქუდს უდიან, საზოგადოებრივი სფეროს აქტივისტები – თენიზ აგრძა და ბოტა აუბა არიან, რომელმაც უკვე რეპატრირებული თუ რეპატრირებისთვის გამზადებული ადამიანების დასახმარებლად ნამდვილი საზოგადოებრივი მოძრაობა წამოიწყეს.

თუმცა აქტივისტების ეს ერთჯერადი გამარჯვება რეპატრიაციის საქმეში სულაც არ მოასწავებს, რომ აქამდე გამყარებული ტენდენცია მკვეთრად შეიცვლება. ჯერ ერთი, რაგინდ ცინიკურად შეიძლება ულერდეს, სირიელი აფხაზების დაბრუნების მიზეზი ქვეყანაში გაჩაღებული ომი გახდა. სტაბილური თურქეთიდან, სადაც დიასპორის

უდიდესი ნანილი ცხოვრობს, აფხაზეთში გადმოსახლებას დიდად არავინ ჩქარობს. უკანასკნელი 20 წლის პრაქტიკა სწორედ ამას ადასტურებს. მეორე როტული მომენტი ამ ადამიანების ადაპტირებაა. აფხაზეთში უკვე დაბრუნებულთაგანაც კი ზოგიერთი, საკმარისია, ომის შემდეგ ნახევრად დაგრძეულ ქვეყანაში ცხოვრების სირთულეებს შეეხალოს, გუდა-ნაბადს იკრავს და უკან ბრუნდება.

როგორც ჩანს, სწორედ ამ სირთულეებს გულისხმობდა ორიოდე კვირის წინ პაატა ზაქარეიშვილი, რომელსაც საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის თანამდებობის ახლანდელი სახელმოდება ასე ეხამუშება. ერთი მხრივ, ზაქარეიშვილმა კარგი უსტი გააკეთა – აფხაზებს სირიიდან თანამემამულების გადმოსაყვანად იმ ტერიტორიაზე შესთავაზა გზის გახსნა, რომელსაც საქართველო აკონტროლებს. ხოლო ეს კეთილშობილური (ყოველგვარი ირონის გარეშე ვამბობ) შესთავაზება იმით ახსნა, რომ საქართველოს აფხაზთა რეპატრიაციის პროცესი არ ემუქრება: „ეს ძალიან გრძელვადიანი პროექტია, რომლის რეალურ პერსპექტივასაც მე ჯერ ვერ ვხედავ. მათ (რეპატრიანტებს) მხოლოდ ისტორიული მეხსიერება ამოძრავებთ, ის, რომ აფხაზეთთან რაღაც აკავშირებთ. მათ არ იციან აფხაზური ენა, თავს აფხაზებად არ მიიჩნევენ, არაფერი აქვთ საერთო ადგილობრივ კულტურასთან და რელიგიასთან.“

რა გაეწყობა: როგორც ჩანს, პაატა ზაქარეიშვილი ჯერ ვერ აცნობიერებს, რომ კონფლიქტოლოგის ანალიზი მინისტრის შესრულებით შეიძლება ცინიკურად, და მე ვიტყოდი, უტაქტოდ უდერდეს. პირად საუბარში აფხაზებმა შეიძლება თავს უფლება მისცენ და რეპატრიაციის აუცილებლობა ეჭვევეშდააყნონ, მაგრამ საზოგადო სივრცეში საკითხი ამ კუთხით არასდროს განიხილება. ყველაზე მეტი, შეიძლება, რომელიმე პეტლიცისტმა მოქალაქეებს შორის აზრთა არსებული სხვაობა აღიაროს, და შეუგნებლები იქვე გაკიცხოს. დღევანდელ დღეს, და თანაცქართული მხარისგან, „მაინც არაფე-



■ თანამედროვე აფხაზეთში

შობადობის დაბალი, და

სიკვდილიანობის მაღალი

მონაცემების ფონზე აფხაზთა

დიდი დიასპორა თურქეთში

და ახლო აღმოსავლეთში

ფაქტობრივად ერთადერთ

დემოგრაფიულ რესურსად

რჩება.



რი გამოგივათ“ ყაიდის განცხადებების მოსმენა არც ერთ აფხაზს არ მოეწონება.

მაგრამ ზოგადად (თუმცა კი არა დეტალებში) პაატა ზაქარეიშვილი მართალია. ურბანიზაციის პროცესი მათი განსახლების ქვეყნებში აფხაზების ასიმილაციას მხოლოდ აჩერაბებს. მათი უმრავლესობა აფხაზურად მართლაც ვეღარ მეტყველებს. ისიც სიმართლეა, რომ რეპატრირებულთა ყოფითი კულტურა საფუძვლიანად განსხვავდება კულტურისგან, რომელიც მათ აფხაზეთში ხვდებათ. თუმცა ისტორიულ მეხსიერებას, როგორც არგუმენტს, მე წონას არ დავუკარგავდი. ესეც რომ არა, ენა (აქ სრულიად სოლიდარული ვარ პროფესორ გიორგი ანჩაბაძესთან) ერთადერთი, ყოვლისგანმსახლეობის ნაციონალური მარკერი სულაც არ არის, ამის კარგი მაგალითი ირლანდიელები არიან.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია – დღეს აფხაზები საკუთარი ეთნოსის განვითარების ძალიან რთულ სტადიაზე იმყოფებიან. რეპატრიაციის შედეგანობაზე ძალზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თავის მხრივ, რეპატრიაციის პროცესის რაგვარობასაც უამრავი ფაქტორი განაპირობებს, ამ სტატიაში ყველა ამათგანის განხილვა ვერ მოხერხდება. მხოლოდ რუსეთზე, როგორც ერთ-ერთ ძმგვარ ფაქტორზე, შეიძლება რამდენიმე სტატიაც კი დაინტერის. ეროვნული აქტივისტების მოქმედებები და აფხაზური საზოგადოების მიერ მათი მძლავრი მხარდაჭერა იმას მონმობს, რომ ინტელექტუალურ წრეებში ნამდვილად გააზრებულია ზემოთნასენები ფაქტორების სიმძაფრე. მაგრამ საქართვისა კი ეს საიმისოდ, რომ რეპატრიაციის პროცესი მართლაც დაიძრას და შედეგი მოიტანს? [■]

**HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასიი**

სტატია მომზადებულია ჰაინრიჩ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჩ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.



საზოგადოებრივი მარკეტინგი

საზოგადოებრივი მარკეტინგი,
ქუთათალი პრინციპები და კონცენტრაცია

კოტე ჭანდიერი



„მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების შეუზღუდვა ძიების გარემოში, იდეებისა და ცოდნის თავისუფალი გაცვლის პირობებში შეიძლება საერთაშორისო მშეიდობის, ურთიერთგაებისა და მდგრადი განვითარების მიღწევა“.

დოკტორი აბდულ გაპიდ ხანი,
იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგირე კომუნიკაციისა და ინფორმაციის დარგში, (2003)

ნინასიტყვაობა

2003 წელს, უენევაში, ელექტრონული მედია-საშუალებების მსოფლიო ფორუმზე, რომელიც საზოგადოებრივი (საჯარო) მაუწყებლობის პრობლემებს მიეძღვნა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ: „თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში, რომელიც იმყოფება ტექნოლოგიური, კომერციული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ერთდროული და მძლავრი წესის ქვეშ, როდესაც რადიო და ტელევიზია მთლიანად განმსჭვალულია კომერციული და პოლიტიკური ინტერესებით, საზოგადოებრივი (საჯარო) მაუწყებლობის სამსახური წარმოადგენს ორიენტირს ყველა დანარჩენი მაუწყებლისათვის“ (Public service broadcasting: a best practices sourcebook, UNESCO, 2006), ის წარმოადგენს კომერციული, თუ ვინრო პოლიტიკური ინტერესებით მოქმედი მედიის ერთადერთ აღტერნატივასა და ჯანსაღი საზოგადოების საყრდენს.

ბრიტანული მედია-ექსპერტი და მეცნიერი, ერთონი სმიტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ბოლო ასწლეულში, შესაძლოა, სწორედ საზოგადოებრივი (საჯარო) მაუწყებლობის სამსახური იქცა სოციალური დემოკრატიის უმთავრეს იარაღად“ (Anthony Smith. Public broadcasting: Why? How? UNESCO / WRTVC, 2001), ვინაიდან იგი არა პარტიებსა და კორპორაციებს, არამედ თავისუფალ მოქალაქეებს, კულტურასა და დემოკრატიას ემსახურება.

ცხადია, დემოკრატიული ქვეყნის აშენება შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების ძალისხმევით. ეს მიზანი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი მთელ საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული დემოკრატიული ფასეულობების მნიშვნელობა საკუთარი ქვეყნის მომავლისთვის და აქტიურადაა ჩართული დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში.

მაგრამ ამისთვის საზოგადოების თითეულ წევრს ხელი უნდა მოუწვდებოდეს ობიექტური ინფორმაციასა და ცოდნაზე, ეკონომიკური სტატუსისა და სოციალური წარმომავლობის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, თავისუფალ მოქალაქეთა ინტერესებზე თავისუფალ მოქალაქეთა მაუწყებლობას კიდევ უფრო დიდი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება პოსტმატულობრული საზოგადოებების, გარდამავალი ეკონომიკისა და არამდგრადი დემოკრატიების პირობებში.

წლების მანძილზე საქართველოში „საზოგადოებრივ მაუწყებლად“ იწოდებოდა მედიასაშუალება, რომელიც პრაქტიკულად ერთპარტიული

■ ჩვენ ვერავინ მოგვცე-
მს მზარეცეპტს, თუ რა
შინაარსით ავავსოთ სა-
მაუწყებლო ბადე, რა წესით
ავირჩიოთ სამეთვალყურეო
საბჭო, რა კრიტერიუმებს
უნდა აკმაყოფილებდნენ
ტელევიზიის მმართველი
თანმდებობის პირები
და ა.შ. ამისთვის, პირველ
რიგში, საჭიროა ნათლად
ვხედავდეთ საზოგადოე-
ბრივი მაუწყებლის მიზანსა
და მისიას.

პროპაგანდის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. დიდ მიღწევად თვის განმავლობაში, დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს მეტ-ნაკლებად თანაბარი საეთერო დრო ეძლეოდათ. მაშინ არავის დაუს-ვამს კითხვა – კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ამ ართმეტიკულ ბალანსს, ყოველდღიურ უაზრო ფუსფუსსა და კინკლაობას საზოგადოებრივი (საჯარო) მაუწყებლობის მისიასთან, მის პრიცი-პებთან და ამოცანებთან, კულტურასთან და დე-მოკრატიასთან?

ბუნებრივია, ძალზე რთულია ამ ტოტალიტა-რული ინერციის დაძლევა და გააზრება იმისა, თუ რა შორს დგას ჩვენი საზოგადოებრივი (სა-ჯარო) მაუწყებლობის სამსახური იმ საყოველ-თაოდ აღიარებული პრინციპებისგან, რაზედაც ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნების მიერალაქები დიდი ხანია შეთანხმებული არან. კიდევ უფრო რთულია ამ პრინციპების მორგება ეროვნულ სხეულზე, როგორც ეს მრავალ ქვეყან-ში მოხერხდა.

ჩვენ ვერავინ მოგვცემს მზა რეცეპტს, თუ რა წინარსით ავავსოთ სამაუწყებლო ბადე, რა წე-სით ავირჩიოთ სამეთვალყურეო საჭირო, რა კრი-ტეროლუმებს უნდა აქმაყოფილებდნენ ტელევიზიის მმართველი თანამდებობის პირები და ა.შ. ამის-თვის, პირველ რიგში, საჭიროა ნათლად ვწედავ-დეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანსა და მისიას.

წინამდებარე ტექსტი სწორედ ამის მცდელო-ბას წარმოდგენს. მას არა აქვს პრეტენზია ორი-გინალობაზე, ვინაიდან მთლიანად ეყრდნობა სა-ერთაშორისო დოკუმენტებსა და პუბლიკაციებს, ცალკეულ ქვეყნების სპეციფიკურ გამოცდილე-ბასა და სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან ჩატა-რებულ კონსულტაციებს, რისთვისაც მათ უღრ-მეს მადლობას ვუხდით.

1. პრესტიჟი

► საზოგადოებრივი მაუწყებლობა წარმო-ადგენს ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირების, განათლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის სამსახურს, რომელიც თავი-სუფალია ყოველგვარი სახელმწიფო და კომერ-ციული გაელენებისაგან.

► ეს არის ქვეყნის ყველა მოქალაქეს მაუწყე-ბლობა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაკა-ცობრიო და ეროვნული, დემოკრატიული და სო-ციალური ფასეულობების მუდმივ დომინირებას ცალკეული ჯგუფების პოლიტიკურ და კომერ-ციულ ინტერესებზე.

► საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმართავს ქვეყნის მთელ მოსახლეობას და არა ვწიროპარ-ტულ აუდიტორიას, იგი ორიენტირებულია თა-ვისუფალ მოქალაქეებზე და არა მომხმარებელზე. და ხელს უწყობს თავისუფლებაზე დამყარებული ისტემების ჩამოყალიბებას.

► იგი პასუხობს საზოგადოების ყველა სექტორის, ასაკობრივი და პროფესიული ჯგუფის, რე-გიონების მოსახლეობის და, აგრეთვე, უმცირე-სობების სოციალურ, კულტურულ, ინტერესებისა და მოთხოვნილებებს.

► საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელს უწყობს სამოქალაქო მშენიდვობას, კონსოლიდაციას, უნი-ვერსალურ ფასეულობებზე დამყარებული ერო-ვნული კულტურის განვითარებას, ეროვნული იდენტობისა და ქვეყნის კულტურული სუვერე-ნიტეტის დაცვას.

► ამავე დროს, მისი მანდატი არ შემოისაზღვრება მხოლოდ მოსახლეობის ინფორმირებითა და კულტურული განვითარებით. იგი უნდა აცხოვე-ლებდეს მაყურებლის წარმოისახვას და გარკვეული დოზით ემსახურებოდეს აუდიტორიის გართობა-საც. თუმცა, კომერციული არხებისაგან განსხვა-ვებით, საზოგადოებრივი ტელემაუწყებლის გა-სართობი პროგრამებიც საბოლოო ჯამში უნდა ემსახურებოდნენ ცოდნის ჰორიზონტის გაფარ-თოებას, კრიტიკული აზროვნების სტიმულირებას, თვითშემეცნებასა და გომოვნების ამაღლებას.

2. პრიტიპული პრინციპები

2.1. საყოველთაობა. საზოგადოებრივი მაუწყე-ბლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართვე-ლოს თითოეული მოქალაქესათვის სოციალური სტატუსისა და ფინანსური შესაძლებლებების მიუხედავად. ამ თვალსაზრისით, ის უნდა გა-ხდეს დემოკრატიულობისა და ეგალიტურობის მაგალითი დანარჩენი მედიასაშუალებებისათვის.

2.2. დიკერისფიციკაცია. საზოგადოებრივი მაუწყე-ბლობის სერვისი, სულ ცოტა საში შიმართულებით უნდა იყოს დიკერისფიცირებული: პროგრამების შინაარსის, მიზნობრივი აუდიტორიისა და განსა-ხილველი თემის კუთხით. იუნესკოს კუბული: „საჯარო მაუწყებლობის სამსახური: საუკეთესო გამოცდილებათა ცნობარი“ (2006), შეიცავს პირ-დაპირ რეკომენდაციას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობა უნდა ასახავდეს საზოგადოებრივ ინტერესთა მრავალფეროვნებას და მაყურებელს სთავაზობდეს პროგრამების ფართო სპექტრს, საინფორმაციო, შემეცნებითა და გასართობი გადაცემების ჩათვლით. ამავე დროს, ზოგიერ-თი პროგრამა შესაძლოა გათვლილი იყოს მხო-

ლოსდაუდიტორიის მცირე ნაწილზე, რომლის ინტერესებიც როგორც წესი, იღნორირებულია კომერციული არხების მიერ. საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი მაუწყებლობა უნდა აქმაყოფილებდეს ყველას მოთხოვნილებებს არა რომელიმე ცალკე აღებული პროგრამის ფარგლებში, არამედ სხვადასხვა გადაცემათა ერთობლიობაში. განსახილველად შეთავაზებული სიუჟეტების მრავალფეროვნება საზოგადოებრივ მაუწყებელს საშუალებას აძლევს რეაგირება მოახდინოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ყველა თემაზე და ასახოს ყველა ის პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აღელვებს.

2.3. დამოუკიდებლობა. საზოგადოებრივი მაუწყებლობა, ეს არის სიცოცე, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ინფორმაციის, განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების თავისუფალი გაცვლა. ბუნებრივია, ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მაუწყებელი თავისუფალია რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის, სახელმწიფოს და ნებისმიერი კომერციული გავლენისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მასზე ზენოლას ახდენს სახელმწიფო, მაუწყებელი კარგავს მაყურებლის ნდობას. ანალოგურად, თუკი არხი აუდიტორიას სთავაზობს კომერციული მედიასაშუალებების მსგავს პროდუქტს, მაშინ მოქალაქეებისათვის გაუგებარი ხდება, რატომ ფინანსდება ეს ორგანიზაცია მისი ჯიბიდან ამოლებული ფულით.

2.4. ცნობადობა. პროგრამირების სპეციფიკადან, მაღალი ხარისხიდან და გადაცემების ხასიათიდან გამომდინარე, მაყურებლებს არ უნდა უჭირდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტის იდენტიფიცირება, ის ადვილად უნდა ხვდებოდეს განსხვავებას კომერციულ და საჯარო მაუწყებლობას შორის. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ხარისხზე ან ისეთი თემების გაშუქებაზე, რასაც სხვები, კომერციული ან სხვა რაიმე თვალსაზრისით, არამოწებანად მიჩნევენ და გვერდს უვლიან. პირველ რიგში, განსხვავებული უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიდგომა განსახილველ თემებთან, რაც გულისხმობს გამომგონებლობას, შემოქმედებითობას, ახალი უარების შექმნას, უწევებული რაკურსში დანახული ფერმენტის მიტანას აუდიტორიამდე, მაღალ სტანდარტებზე და ინოვაციაზე დამყარებული კონკურენციის შეთავაზებას აუდიო-ვიზუალურ სამყაროში მოქმედი სხვა მაუწყებლებისათვის.

3. ამოცანები

(ევროპის საბჭოსთან არსებული დამოუკიდე-

ბელ ტელემაუწყებლთა კომისიის – The Council of Europe's Independent Television Commission კრიტერიუმების მიხედვით)

საზოგადოებრივი მაუწყებლი უნდა:

► მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას და იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, რაც მიიღწევა ნულოვნი, ან ძალიან დაბალი გადასახა-დით სიგნალის მიღების ადგილზე.

► უზრუნველყოფებს საზოგადოების ყველა სეგმენტის აქტიურ ჩართულობას, რისთვისაც აუცილებელია, რომ მისი სამაუწყებლო ბადე შეიცავდეს პროგრამების ფართო სპექტრს, რო-მელიც პასუხობს საზოგადოების მრავალფერო-ვან ინტერესებს.

► ანესებდეს და იცავდეს უმაღლეს ტექნიკურ და სანარმოო სტანდარტებს, რაც ადეკვატური დაფინანსებისა და თანხების ეფექტური სარჯვის ინდიკატორი იქნება.

► ესწრაფვოდეს ცნობადობას, სხვა არხებისგან თვალსაჩინო განსხვავებას, რაც ნოვატორული მიდგომების ძეგბაში და ტელევიზიის, როგორც საინფორმაციო საშუალების მთელი შემეცნებით-საგანმანათლებლო პოტენციალის სრულად გა-მოყენებაში გამოიხატება.

► მიდიოდეს შემოქმედებით რისკზე და ექსპერიმენტზე, არ ერთგოდეს სამაყურებლო სტერეოტიპების შეცვლას და აქსებდეს კომერციულ მო-გებაზე ორიენტირებულ მანქუბელთა ხარვეზებს.

► გამოირჩეოდეს დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით, სარგებლობდეს საზოგადოების მაღალი ნდობით, აღიარებული იყოს ახალი ამბების ავტორიტეტულ წყაროდ, საჯარო დებატების ფორუმად, ამკვიდრებდეს შეხედულებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფდეს ამომრჩევლთა ინფორმირებულობას.

► ითვალისწინებდეს უმცირესობათა კულტურულ, ერობრივ, სოციალურ მოთხოვნილებებს; განსაკუთრებით ეს ეხება განათლებას (სპეციალური სასკოლო პროგრამები) და უნარშეზღულ მოქალაქეთა ხელშეწყობას.

► პასუხობდეს რეგიონულ გამოწვევებს, ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესებს, აშუქებდეს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეთა პრობლემებს და აცნობდეს მათ ერთმანეთს.

► მიზნად ისახავდეს უნივერსალურ ფასეულობებზე დამყარებული ეროვნული კულტურის განვითარებას, ეროვნული იდენტიტისა და კულტურული სუვერენიტეტის შენარჩუნებას.

► თვითონვე ქმნიდეს პროდუქციის უდიდეს ნაწილს, რომელიც პირველი ჩვენებისთვისაა გამიზნული. ცალკეული დამყარებული სისტემის მიზანი არა არის განვითარების და სელს უნივერსალურ განვითარების დამყარებული სისტემის მიზანი.

■ საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმართავს ქვეყნის მთელ მოსახლეობას და არა კინორეპროდიულ აუდიტორიას, იგი ორიენტირებულია თავისუფალ მოქალაქეებზე და არა მომზარებელზე. და ხელს უწოდეს თავისუფლებაზე დამყარებული სისტემის მიზანი არა არის განვითარების და სელს უნივერსალურ განვითარების დამყარებული სისტემის მიზანი.



საკაეთუოფოლან საზოგალოებაში

ფსიქიატრიული დაწესებულებების უმრავლესობაში სარეაბილიტაციო პროგრამები არ არსებობს ან შეზღუდულად ფუნქციონირებს. ერთადერთი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდოლოგიური ცენტრი კი, შესაძლოა, დაიხუროს.

ავტორი: ლაშა ქავთარაძე, ფოტოები: ლევან ხერხეულიძე

საქართველოში ერთადერთი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდოლოგიური ცენტრი შესაძლოა შენობის, ფსიქიკური პრობლემების მქონე ათეულობით ადამიანი კი აუცილებელი სერვისების გარეშე დარჩეს.

თანამშრომლებთან ერთად, სარეაბილიტაციო ცენტრის მომავალზე დელავერ პაციენტებიც, რომელთა უმეტესი ნაწილიც სოციალურად დაუცველია.

„თუკი ეს ცენტრი დაიხურება, უდიდესი პრობლემის ნინაშე აღმოჩნდებით, – ამბობს რამაზი, რომელიც უკვე ათ წლის უკვე მეტია რაც ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას გადის, – პაციენტების მდგომარეობა გამზვავდება და ალბათ ყველას საავადმყოფოში დაწოლა მოგვიწევს. სახელმწიფო კი იძულებული იქნება უფრო მეტი თანხა გაიღოს ჩვენს მკურნალობაზე. არ ჯობია, რომ ფული, რომელიც ამდენი ადამიანის მკურნალობაზე უნდა დაიხარჯოს, ოფისისთვის მოგვცენ?“

კიდევ ერთი პაციენტი, მარიამი, უკვე 13 წლია რაც ცენტრში დადის. მუშაობდა კიდეც აქაურ სამზარეულოში. ამბობს, რომ ეს ორგანიზაცია მის პიროვნულ, ფსიქიკურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე დაუღალავად ზრუნავდა და სწორებდა მათი დამსახურებაა, რომ მისი მდგომარეობა მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გამწვავებულა.

„ეს ცენტრი დამცავი რგოლია ყველა პაციენტისათვის, – ამბობს მარიამი, – ვიდრე აქ მოვიდოდი, ჩემი სტატუსი საზოგადოებაში ნულს უთანაბრდებოდა. ცენტრი კი ჩემი მფარველი ინსტიტუტი გახდა. სწორებ აქაურობის დამსახურებაა, რომ დღეს ოჯახის წევრები და სხვა ადამიანები ნორმალურად მეყყრობან. როგორმე უნდა გაიგონ ხელისუფლებაში, რომ ჩვენზე მეტი რესურსი უნდა დაიხარჯოს. სოციალურად დაუცველი ვარ და აქაურობის გარეშე საერთოდ მარტო დავრჩები.“

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი 1998 წელს უცხოელი დონორების დახმარებით ასათიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაზაზე „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციამ დაარსდა.

ცენტრის დირექტორის, არჩილ ბეგიაშვილის თქმით, უკვე წლებია, რაც ორგანიზაცია ცდილობს გაეცნოს დასავლეთში არსებულ ყველა მეთოდოლოგიას, მოახდინოს მათი თარგმნა და ქართულ გარემოზე ადაპტირება. შემდეგ კი მათი პრაქტიკაში დაწერგვა. პაციენტებს უტარდებათ კომპეტენტური

ქცევის ტრენინგები კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გასავითარებლად და აღსადგენად; ფსიქიკური ფუნქციის ტრენინგები, მაგალითად, მეხსიერებისა და აზროვნების გასავითარებლად. გარდა ამისა, მუშაობენ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მატერიალურ და სოციალურ გარემოსთან ადაპტირებისთვის – ასწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, ოჯახთან, სამეზობლოსთან და საზოგადოების სხვა წევრებთან კონფლიქტისთვის თავის არიდებას და ა.შ.

ერთ-ერთი უმთავრესი კი, რაზეც ცენტრი ზრუნავს, ამ ადამიანების დასაქმება და მათი შრომითი პოტენციალის რეალიზებაა. ცენტრმა უკვე დაასაქმა ათი ადამიანი. „ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარის, მანანა შარაშიძის თქმით, მათი პაციენტების 80% შრომისუნარიანია. სწორედ ამიტომ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში გახსნილია კომპიუტერული კლასი, სადაც პაციენტები ახალი უნარ-ჩვევების ათვისებას ცდილობენ. სწავლობენ თექაზე მუშაობას და უტარდებათ არტერაპიის კურსები.

ცენტრის მიერ ადაპტირებული ფსიქო-სოციალური ინტერვენციის მეთოდების მიხედვით უკვე 300-ზე მეტ სპეციალისტს ჩაუტარდა ტრენინგი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, სადაც ყოველდღიურად 35 პაციენტის ორჯერად კვებაზე, სოციალური უნარ-ჩვევების, სააზროვნო და შემეცნებითი უნარების განვითარებაზე ზრუნავენ, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიის გაყიდვის შემდეგ სამუშაო ფართის გარეშე დარჩენილი. თავდაპირველად ცენტრი ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის შენობაში გადავიდა, თუმცა თბილისის მერიაში ს შენობაც გაყიდა. ამჟამად ოფისის ხარჯებს უცხოელი დონორები ფარავენ, თუმცა მასის ბოლოდან ეს დახმარებაც შეწყდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციის პრიორიტეტად აღიარებს, მანანა შარაშიძის თქმით, მთლიანად ჯანდაცვის სისტემა მოუქნელი და გამართულად ვერ მუშაობს.

„ჯანდაცვის სამინისტროში პატიოსანი და მონადიმებული ადამიანები მუშაობენ, მაგრამ თავად სისტემა არ იძლევა სფეროს გაჯანდების საშუალებას. სამინისტროს თანამშ-

რომლებს აკლიათ შესაბამისი კომპეტენცია, რაც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცის პრობლემაა. ძალიან ცუდად გვასწავლიდნენ ჯანდაცვის ორგანიზაციასა და მენეჯმენტს. ეს-პერტები, რომლებიც აღნიშნულ თემას კარგად იცნობენ, იქ არ მუშაობენ,“ – აღნიშნავს შარაშიძე.

რაც შეეხება უშუალოდ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მომავალს, პრემიერ-მინისტრთან არსებულმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭომ, დააყენა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საკითხი, რომლებსაც შენობის პრობლემა აქვს. „ამ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან უნდა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, მაგრამ ეს პროცესი ძალიან იწელება და გაურკვეველია, როგორ დამთავრდება,“ – განუცხადა „ლიბერალს“ ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მნიშვნელობა

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ფსიქიატრიის განვითარების ყველაზე თანამედროვე ტაპად მიიჩნევა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან სპეციალისტები სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, მივიღნენ დასკვნამდე, რომ პაციენტის სავადმყოფოში დიდი ხნით მოთავსება იწვევს მათი სოციალური ფუნქციების დაქვეითებას და აღრმავებს ფსიქიკურ პრობლემებს – პაციენტები კარგავენ პიროვნულ ინდივიდუალიზმს, უვითარდებათ ჰოსპიტალიზმის სინდრომი: აპათია, მორჩილება, დეპრესიულობა, სხვაზე დამოკიდებულება და ა.შ.

ამიტომაც გადაწყდა, რომ ფოკუსირება უნდა მომხდარიყო თემზე დაფუძნებულ ფსიქიატრიაზე, რომელიც სერვისების საავადმყოფოდან გარეთ გატანას გულისხმობდა და რომლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტიც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციაა.

„ჰუმანურმა საზოგადოებამ დასავლეთში თქვა, რომ არ უნდათ პაციენტების დიდ ფსიქიატრიულებში გამომწყვდევა, ეს არაჰუმანურია, რადგან პაციენტის სოციალური უნარ-ჩვევები, მუშაობის უნარი, კონტაქტები, ოჯახთან ურთიერთობა უკან-უკან მიდის და ადამიანი, რომელიც 10 წელი ფსიქიატრიულში

იმყოფება, უკან ოჯახში დაბრუნებისას, თავის ადგილს ვეღარ პოულობს,“ – აღნიშნავს მანანა შარაშიძე.

მისივე თქმით, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებთან მუშაობა ორ თანასწორ პროცესს მოიცავს – ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობა და ფსიქო-სოციალური ინტერვენციები. ორივე კომპონენტი მხოლოდ ერთადაა ეფექტური. ფსიქო-სოციალური ინტერვენციები არა მხოლოდ პაციენტთან მუშაობას, არამედ მის საარსებო გარემოსთან მუშაობასაც მოიცავს. „საზოგადოებას ეშინია ასეთ ადამიანებთან კონტაქტი და არ იცის, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონდე ადამიანების უმცირესი ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურად საშიშად,“ – ამბობს შარაშიძე,

როგორც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის სასწავლო პროგრამაშია აღნიშნული, პაციენტის საზოგადოებისგან მოუწყებულად მკურნალობა გრძელვადიან პერსპექტივაში ნიშნავს მათი სოციალური კომპეტენტურობის გაზრდას, ლრმა ინვალიდობის პროფილაქტიკას. ქვეყნისთვის კი ეს საზოგადოების სოციალური კაპიტალის შენარჩუნებას უწყობს ხელს, რისი წარმატებული მაგალითებიც საზღვარგარეთ უხვადა.

ხელმისაწვდომობასა და თემზე დაფუძნებული სერვისების აუცილებლობაზე საუბრობს ფსიქოლოგი ჯანა ჯავახშვილიც. მისი თქმით, მნიშვნელოვნია, რომ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია არ იყოს მკურნალობაზე უშუალოდ მიბმული. თუმცა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ვინოროდ, მხოლოდ არტერაპიად არ უნდა ჩაითვალოს. საზღვარგარეთის წარმატებული მეთოდები სწორედ ამაზე მეტყველებს.

„გასულ წელს საქართველოში ჩამოსული იყო ბენედეტო სარაჩინო, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში მენტალურ ჯანმრთელობას კურირებდა. მან ისაუბრა იტალიის გამოცდილებაზე – იქ არსებობს ე.ნ. კოოპერატივები და კანონმდებლობის დონეზე არის დარეგულირებული, როდესაც სახელმწიფო აცხადებს ტენდერს, უპირატესობას ანიჭებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების კომპერატივის. მაგალითად, არის სასტუმროები, რომელთა მენეჯმენტსაც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესში მყოფი ადამიანები ახორციელებენ. ასევე არსებობს კომპერატივი, რომელიც ძალიან



ხშირად იგებს ტენდერებს, რომელიც კონფერენციების ყვავილებით მორთვას ითვალისწინებს. სწორედ მათ ენიჭებათ ხოლმე უპირატესობა სხვებთან შედარებით, რის გამოც ხშირად აქვთ შეკვეთები, პაციენტები კი ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებენ,“ – აღნიშნავს ჯანა ჯავახიშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაციის „გლობალური ინიციატივები ფსიქიატრიაში“ თანამშრომლები ახალახან იყვნენ ჰოლანდიაში, სადაც გაეცნენ ძნელად აღსაზრდელ არასრულნლოვანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მოდელს. როგორც უანა ჯავახიშვილი ამბობს, იქ ფსიქოლოგიური სამსახური საერთოდ არ აქვთ: „იქ არის საწარმოები, სადაც თუ კონსტრუქციულ ურთიერთობებში ხარ ჩართული, არ ილახება შენი ღირსება და თან სწავლობ შრომას, რა თქმი უნდა, ასეთ დროს რეაბილიტაციის დიდი შანსი გაქვს.“

სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემა

დღესდღეობით სახელმწიფო ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე ნელინადში მხოლოდ 70 000 ლარს ხარჯავს, რაც „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ბიუჯეტის მხოლოდ 1%-ს შეადგენს. მაშინ როდესაც

ჰოსპიტალურ კომპონენტზე დაფინანსების 70% მოდის.

როგორც სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშშია აღნიშნული, „აუცილებელია ამ გადანაწილების შეცვლა, შედარებით დაბალანსებული და გაწონასწორებული დაფინანსებით.“

საქართველოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდოლოგიური ცენტრის დირექტორის, არჩილ ბეგიაშვილის თქმით, სახელმწიფო დღეში მხოლოდ 10-11 ლარს გამოყოფს თითოეული პაციენტის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე, რაც არსებულ სტანდარტზე დაახლოებით 15 ლარით ნაკლებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ვაუჩერი მხოლოდ სოციალურად დაუცველებზე ვრცელდება. სწორედ ამიტომ აუცილებელია ფსიქიკური ჯანდაცვის აღნიშნული კომპონენტისთვის დაფინანსების გაზრდა. გარდა ამისა აუცილებლობას წარმოადგენს ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობის გაზრდაც.

„ჩვენნაირი ცენტრი, სამწუხაროდ, თბილისში მხოლოდ ერთია, რაც მიღიონ-ნახევრიანი ქალაქისათვის ძალიან ცოტაა. რეალურად ერთ რაოდნში ერთი ასეთი ცენტრი მაინც უნდა იყოს. ჩვენთან ყოველდღიურად 35 პაციენტი მოდის, დაფინანსების სიმცირის გამო

■ „დაწესებულებებში მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ სერვისების შენაარსი არ შეცვლილა და ისეთივე მიღომებია, რაც ადრე იყო – საბჭოთა ფსიქიატრიის დროს,“

კი როტაცია ვერ ხერხდება,“ – აღნიშნავს არჩილ ბეგაშვილი.


სახალხო დამცველის ანგარიშში, რომელიც საქართველოს ფსიქიატრიულ დანესებულებები არსებულ მდგომარეობას ეხება, აღნიშნულია, რომ მიუხედავად რეაბილიტაციის კომპონენტის აუცილებლობისა, რაც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებითაც არის დაფიქსირებული, დღესდღეობით ფსიქიატრიული დანესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობაში სარეაბილიტაციო პროგრამები ან საერთოდ არ არსებობს ან ძალზე შეზღუდულად ფუნქციონირებს.

„ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები და მკურნალობის ინდივიდუალური გეგმები არ არსებობს სენაკის ფსიქიატრიულ დანესებულებაში, რეფერალურ ჰოსპიტალში, ასათიანის სახელობის ინსტიტუტში, №5 კლინიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ დეპარტამენტში, ღუდუშაურის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სენაკის ფსიქიატრიულ დანესებულებაში, ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში,“ – ვკითხულობთ ანგარიშში.

ამ სფეროში არსებულ პრობლემებს აღიარებენ ოფიციალური სტრუქტურებიც. არჩილ ბეგაშვილის თქმით, არავინ უარყოფს დაფინანსების გაზრდის ან ზოგადად ამ კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობას, თუმცა როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, იქნება ეს თანხასთან დაკავშირებული საკითხი თუ ფართობან დაკავშირებული პრობლემა, მაშინ მათ კითხვებზე პასუხს არავინ აძლევს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დარგის ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი ახალი საბჭო, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამასთან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ბინაზე მომსახურების სერვისების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია და 2013 წლის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის პროექტზე მუშაობის პროცესში, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად განხილული იქნება პროგრამის ფორმატის ცვლილებები და დაფინანსების მეთოდოლოგია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა



რეაბილიტაციის პროცესში უმიშვნელოვანესია იმ უნარების აღდგენა, რომლებიც პაციენტის ჩვეულ გარემოში საცხოვრებლად აუცილებელია

და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2010 წლიდან დაიწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულებები იყო ინფრასტრუქტურის განვითარება, სამედიცინო პერსონალის გადამზადება, სტაციონარული, აბილუატორიული და თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება.

„რეფორმა, როგორც მოგეხსენებათ, არ არის ხანმოკლე პროცესი, შესაბამისად, არსებული სამსახურების ანალიზის საფუძველზე და რეალობის გათვალისწინებით (ფინანსური შესაძლებლობები, კადრების მომზადების ხარისხი) უნდა დაიწყოს საფეხურეობრივი პროცესი პოსპიტალური მკურნალობის დაბალანსებისა და ამბულატორიული სერვისების გეგმაზომიე-



„2013 წლის „ფსიქი-კური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის პროექტზე მუშაობის პროცესში, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად, განხილული იქნება პროგრამის ფორმატის ცვლილებები და დაფინანსების მეთოდოლოგია“

რი განვითარება,“ – განუცხადა „ლიბერალს“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სოფო მორგოშიამ.

„საქართველოს ფსიქიური ჯანმრთელობის ასოციაციის“ თავმჯდომარე მანანა შარაშიძე რეფორმაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მხოლოდ ასათიანის საავადმყოფოს ტერიტორიის გაყიდვა არაფერს ნიშნავს, თუ დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დასავლური მოდელის მიხედვით არ წარიმართა. ჩვენთან ჯერჯერობით ფსიქიატრიული საავადმყოფოს დახურვის საპასუხოდ თემზე დაფუძნებული ფსიქიური ჯანმრთელობის სერვისები არ დანერგილა.

„განხორციელდა ზოგი სასიკეთო ცვლილება: საერთო პროფილის საავადმყოფოებში გაიხსნა სამი ფსიქიატრიული განყოფილება, რაც მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის დამსახურებაა, ასევე ქავთარაძეზე შეიქმნა კრიზისული ინტერვენციის ცენტრი. განახლდა ზოგიერთი დაწესებულების ინფრასტრუქტურა, გაიხსნა რუსთავის ფსიქიური ჯანმრთელობის ცენტრი. ამ დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ სერვისების შინაარსი არ შეცვლილა და ისეთივე მიღებომებია, რაც ადრე – საბჭოთა ფსიქიატრიის დროს იყო,“ – ამბობს მანანა შარაშიძე. □

ნახაოვიტის, ჩობოჩის ჩვაჩვილი

მკაცრი და რეპრესიული
ნარკოპოლიტიკის შედეგად
ნარკოტიკების მომხმარებელთა
რაოდენობა გაიზარდა,
მომხმარებელთა ნაწილი კი ახალი,
უფრო მეტად დამაზიანებელი
ნარკოტიკული საშუალებების
მოხმარებაზე გადავიდა.

მანანა ვარდიაშვილი



ჩვენი კოლეგა და „ლიბერალის“ ერთ-ერთი რედაქტორი ირაკლი აბსანძე სამართალდამცავებმა საფოსტო განყოფილებასთან, მეგობრის მიერ გამოგზავნილი ამანათის მიღების შემდეგ დააკავეს. დალუქული პაკეტი პოლიციელებმა ირაკლის თვალწინ გახსნეს. პაკეტში საფოსტო ღია ბარათი და 2 პატარა პარკი იღო – 0,1 გრ ჰაშიში და 0,4 გრ მარისუანა. ირაკლი აბსანძის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ნარკოტიკების შექენა-შენახვა-გადატანას გულისხმობს და 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინე-

ბს. მას შემდეგ, რაც ამ ფაქტს სოციალურ ქსელებში დიდი ვნებათლელვა მოჰყვა, ბრალი გადაკვალიფიცირდა – ირაკლი აბსანძე სასამართლოს დარბაზიდან თავდებით გაათავისუფლეს. ირაკლი უურნალისტი რომ არ ყოფილიყო და საზოგადოებრივად აქტიურ მეგობრებსა და კოლეგებს მისი მხარდასაჭერი კამპანიის ორგანიზება არ დაეგეგმათ, არავარ დარწმუნებული, რომ იგივე შედეგი დადგებოდა. ეს ინციდენტი გახდა მიზეზი იმის, რომ ეროვნული ნარკოტიკული პოლიტიკის საკანონმდებლო ხარვეზებსა და უკუშედეგებზე კიდევ ერთხელ დაგვეწერა.

„ყველა ციხეში!“

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ნარკოკანონმდებლობა საქართველოში რამდენჯერმე შეიცვალა. 2002 წელს წამალდამოკიდებულება დაავადებად აღიარეს, მაგრამ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა, რის გამოც ეს კანონმდებლობა დღემდე წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების უმთავრეს პრინციპებთან: ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანი ერთსა და იმავე დროს ავადმყოფიც არის და დამნაშავეც.

„კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ნარკოტიკების შენახვაზე გამაცრებულ სასჯელს ითვალისწინებს... ამ დანაშაულებზე პირობითი სასჯელი უნდა გაუქმდეს – ყველა ციხეში!“, – ეს განცხადება პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა საქართველოს პარლამენტში 2006 წლის 14 თებერვალს გააკეთა, მაშინ, როცა კანონპროექტი – „ნულოვანი ტოლერანტობა წერილმანი დანაშაულის მიმართ“ წარადგინა.

პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის შემდეგ კანონი გამკაცრდა. ახლა საქართველოს პოსტსაბჭოთა რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი და რეპრესიული ნარკოპოლიტიკა აქვს: ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონ შეძენა, შენახვა ან მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი მოქმედებაში მოდის სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომელიც 2000 ლარით დაჯარიმებას, ან თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“ ნარკოტიკების მომხმარებელთა დევნაში გადაიზარდა, პოლიციელთა „გონივრული ეჭვის“ წიადაგზე კი ათასობით მოქალაქემ ნარკოტიკსტირება გაიარა. ამ პოლიტიკის შედეგად ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების გამო ათასობით ადამიანი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვდა.

„ბუპრენორფინის მოხმარებისთვის გამასამართლეს, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს და ჯარიმის სახით 5000 ლარი გადამახდევინეს,“ – ამბობს 35 წლის გიორგი მ. – „მე არ ვიყავი დამნაშავე, არც დაკავების

მომენტში და არც დაკავებამდე არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია. ქუჩაში მივდიოდი, როცა დამიჭირეს. ვაღიარე ჩემი დანაშაული, მოვინანიე, ვთქვი ისიც რომ ნარკოტიკების რეგულარული მომხმარებელი არ ვიყავი. მეუღლე მყავდა ავად, სასწრაფო ოპერაციას ჭირობოდა, მყავდა მცირენლოვანი შვილი და ღრმად მოხუცებული დედა, ვიყავი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, რის გამოც საკასაციო საჩივრით მოვითხოვე სასჯელის შემსუბუქება. მაგრამ სასამართლომ ჩემი თხოვნა არ გაითვალისწინა და სასჯელი სრულად მოვინადე“. გიორგი დღეს თავისუფალია. ამჟამად უმუშევარია და ამბობს, რომ ნარკომანისა და პატიმრის იარღიყის მიერებით ის სამუდამო უმუშევრობისთვის განირეს.

2007 წლიდან გამეაცრებული ნარკოპოლიტიკის შედეგები ყოფილი ხელისუფლების ნარმომადგენლებმა 2011 წლის ბოლოს შეაჯამეს. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად 4 წლის განმავლობაში ნარკოდანაშაულის რიცხვი 53%-ით, 8 493 შემთხვევიდან 3 984 შემთხვევამდე შემცირდა. მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ აღნიშნა, რომ პარალელურად შემცირდა ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ახალგაზრდა ასაკის პირთა რიცხვი და შავ ბაზარზე „მძიმე ნარკოტოკული საშუალებების“ უკანონო ბრუნვაც.

„ჩვენ ომი გამოუცხადეთ ნარკორეალიზატორებს, შედეგად კი შეიზღუდა ნარკოტიკის რეალიზაცია, დღეს ბევრად ნაკლები ადამიანი არის ჩართულ ნარკოდანაშაულში და ბევრად ნაკლები ადამიანი იტანჯება ამ სენით“, – განაცხადა ზოდელავამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა ჯორჯიას“ მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოში ნარკოდამოკიდებულების გამო სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში სულ მცირე 1500 ადამიანი ხვდება, ამ პოლიტიკის გატარების სამართლებრივ პროცედურებზე კი დაახლოებით 18 მილიონი ლარი იხარჯება.

„ალტერნატივა ჯორჯიას“ დირექტორი და „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ გამგეობის წევრი, დავით ოთიაშვილი, მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამკიდებულ პირთა მიმართ რეპრესიულია

■ 2007 წლიდან გამეაცრებული ნარკოპოლიტიკის შედეგები ყოფილი ხელისუფლების ნარმომადგენლებმა 2011 წლის ბოლოს შეაჯამეს. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად 4 წლის განმავლობაში ნარკოდანაშაულის რიცხვი 53%-ით, 8 493 შემთხვევიდან 3 984 შემთხვევამდე შემცირდა.

საზოგადოება

■ „კვლევებმა აჩვენა, რომ ნარკომომხმარებელთა რაოდენობა 40 ათასიდან 45 ათასამდე გაზიარდა. ნარკო-დანაშაულთან ბრძოლის ფართოდ დეკლარირებულ მა კამანიამ გამოიწვა ის, რომ დღეს საქართველოში ნარკომომხმარებელთა ნაწილი უფრო მეტად დამაზიანებელი ე.ნ. კუს-ტარული ნარკოტიკების მოხმარებაზე გადავიდა“.

და მაგალითად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოჰყავს. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების ფლობა ნებისმიერი ოდენობით სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. მუხლში ნარკოტიკების მომხმარებელი და გამსაღებელი ერთმანეთისგან გამოჯნული არ არის. ამავე მუხლის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან პრეკურსორის დამზადება, შეძენა-შენახვა ან გასაღება მცირე ოდენობით ისჯება 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების (ჰეროინის შემთხვევაში დიდ ოდენობად ითვლება 0,2-1 გრამი) შენახვა ისჯება 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების (ჰეროინის შემთხვევაში 1 გრამზე მეტი) შენახვა კი 8-დან 20 წლამდე თავისუფლების, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. მაშინ როდესაც, იგივე კანონმდებლობა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 12 წლამდე, გაუპატიურების შემთხვევაში – თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით, ხოლო განზრას მკვლელობის შემთხვევაში – 7-დან 15 წლამდე ვადით. სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი კი ნარკოტიკული საშუალებების განმეორებით მოხმარების შემთხვევაში ადამიანს ციხეში უშვებს“, – ამბობს დავით ოთიაშვილი.

გარდა ამისა, ქართული კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები სათანადოდ განსაზღვრული არ არის. 2003 წლის პარლამენტის დადგენილებაში, რომელშიც განსაზღვრულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობები, საქამიანობ ბევრ ნივთიერებას არა აქვს განსაზღვრული მცირე ოდენობა, რის გამოცნებისმიერი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო ფლობა დიდ ოდენობად ითვლება და სასჯელის მკაცრ ზომას ითვალისწინებს. ქართული კანონმდებლობა ერთმანეთისგან არც მსუბუქ და მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებს მიჯნავს.

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ზაალიშვილი აცხადებს, რომ რეპრესული ნარკოპოლიტიკის მიუხედავად საქართველოში

ნარკომომხმარებელთა რიცხვი გაიზარდა. ის საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ და ორგანიზაცია „ბემონის“ მიერ 2013 წლის მარტში გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს იმონმებას: „კვლევებმა აჩვენა, რომ ნარკომომხმარებელთა რაოდენობა 40 ათასიდან 45 ათასამდე გაზიარდა. ნარკოდანშაულთან ბრძოლის ფართოდ დეკლარირებულმა კამპანიამ გამოიწვა ის, რომ დღეს საქართველოში ნარკომომხმარებელთა ნაწილი უფრო მეტად დამაზიანებელი ე.ნ. კუსტარული ნარკოტიკების მოხმარებაზე გადავიდა“.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ნარკოტიკების „შავ ბაზარს“ ადაპტაციის იშვიათი უნარი აქვს და მისი სტრუქტურა და შემადგენლობა ძალოვანების მეთოდების კვალდაკვალ შესაშური სისწარაფით იცვლება. ნარკოდანშაულთან ბრძოლის ფართოდ დეკლარირებული კამპანიის ფონზე ნარკოტიკების ქართული ბაზრის სტრუქტურაც შეიცვალა. ბოლო წლებში, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა ჰეროინისა და სუბოტექსის ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. სამაგიეროდ, შავ ბაზარზე კუსტარული, ბევრად უფრო იაფი და დამაზიანებელი ნარკოტიკები: „ვინტი“, „ჯეფი“ და „ნიანგი“ გამოჩნდა. მათი მოხმარება კი გადაჯაჭვულია ზედოზირებასთან, რაც სიკვდილიანობის რისკის ზრდას იწვევს.

ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის და ნარკომისის წევრი პაველ ბემი მიიჩნევს, ქართული ნარკოპოლიტიკა დასახვერია. ის ამბობს, რომ ნარკოტიკის მოხმარება არ უნდა იყოს განხილული, როგორც მხოლოდ დანაშაული და სამართლებრივი სანქციებით რეგულირებადი სფერო, დასჯაზე მიმართული პოლიტიკის ადგილი კი საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ორიენტირებულმა მიდგომებმა უნდა დაიკავოს: „ნარკოტიკებისგან სრულიად თავისუფალ სამყაროზე ოცნება უტოპიაა. ამ პრობლემის პოლომდე აღმოვხვა შეუძლებელია. უკანასკნელი 20 წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ნარკომომხმარებელთა ციხეში გამოკეტვა ძალიან არაეფექტურია და ძალიან ძვირი უჯდება სახელმწიფოს მათი ციხეში შენახვა. ამით კი ვკარგავთ რესურსს მათი მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის. მსოფლიო გამოცდილებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა დეკრიმინალიზაციას ბევრი პოზიტიური შედეგი აქვს.

დეკრიმინალიზაციის პროცესში ადვილია წვდომა ე.წ. დამალულ ნარკომომხმარებლებთან, რომლებსაც ჯანდაცვის სფეროსთან კონტაქტი არ აქვთ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში არსებული 45 ათასი ნარკომომხმარებლიდან ჯანდაცვის სერვისებით მხოლოდ ერთი მეოთხედი სარგებლობს. ეს ნიშნავს, რომ დანარჩენი ნარკომომხმარებელი შეიძლება დაავადდეს შიდსით, ან ცე ჰეპატიტით და ამით საფრთხე შეუქმნან დანარჩენ საზოგადოებასაც". ბეჭი ამბობს, რომ დასჯაზე მიმართული ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად უცხოეთის საუკეთესო გამოცდილების ქართულ გარემოსთან ადაპტაციაა აუცილებელი.

ექსპერტები საუკეთესო გამოცდილებად პორტუგალიაში ჩატარებულ რეფორმას ასახელებენ. პორტუგალიამ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციითა და მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომებით 10 წლის განმავლობაში მკერთად შეამცირა ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი, ნარკომომხმა-

რებით ინფიცირების მასშტაბი და მკვეთრად გაზარდა პოლიციის მიერ ნარკოტიკების ბრუნვიდან ამოღების მაჩვენებელი.

ნარკოკანონმდებლობის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა საქართველოს პარლამენტში საშემოდგომო სესიისთვისაა დაგეგმილი. 2012 წლის დეკემბერში ახალი მოწვევის პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი გამოვიდა ახალი საკანონმდენლო ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციას. ინიციატივა გლობალური ფონდის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს ეყრდნობა და ის ნარკოტიკების მოხმარების გამოსისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას ითვალისწინებს. მაგრამ, ამასთან ერთად მასში შემოთავაზებულია 3500-ლარიანი ჯარიმა ერთი წლის მანძილზე მესამედ და მეტჯერ განმეორებით მოხმარების შემთხვევაში, რაც 6-ჯერ აღემატება საქართველოში საშუალო შემოსავალს. **¶**

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რალი

Commersant.ge

ID ბარათები: საფჩნევი პირის თავისეყისძისის

ID ბარათების იმ ფუნქციებს, რასაც ერთნი კომფორტისა და ეფექტურობის გამო მიესალმებიან, სხვები პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის პოტენციურ საფრთხედ განიხილავენ.

ანი ჭანკოტაძე

ID ბარათების გარშემო საუბარი მესამე წელია არ წყდება. მოსახლეობის ნაწილი პირადობის ელექტრონული მოწმობების დანერგვის წინააღმდეგია. მათი აზრის შესწავლა და არგუმენტების მოსმენა იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ ახლახან დაიწყო. ამჟამად სამინისტროს დაკვეთით სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრი ID ბარათებისადმი მოსახლეობის განწყობის მასშტაბურ კვლევას ანარმოებს. თუმცა, იუსტიციის სამინისტრო ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოწინააღმდეგთა არგუმენტებს ცოტა არ იყოს, პრიმიტიულად აღიქვამს. მაგალითად, ორიოდე კვირის წინ სამინისტროს მიერ გავრცელებულ იუსტიციალურ ვიდეორგოლში იუსტიციის სახლის თანამშრომელი ამტკიცებს, რომ ID ბარათი ეშმაკის კოდს, ე.წ. „მხეცის ნიშანს“ 666-ს არ შეიცავს და, შესაბამისად, ასეთი ბარათებით სარგებლობა მოქალაქეებისთვის სავსებით უსაფრთხოა.

რელიგიურ ჯგუფებში ID ბარათების გარშემო გარკვეული მისტიფიცირებული წარმოდგენები არსებობს. ID ბარათი ცალკეულმა სასულიერო პირებმა ქრისტიანულ მოძღვრებაში არსებულ ესქატოლოგიურ მოტივებს მოარგეს. პოკალი-ფსური წინასწარმეტყველებების მიხედვით გამოცხადებულ ეშმაკის ბეჭედთან მისი იგივეობრიობის განცდაც ასე გაჩნდა. თუმცა სინოდის 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაში წათქვამია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ID ბარათებს „ანტიქრისტეს ბეჭდის“ შემცველად არ განიხილავს.


ამის მიუხედავად, საეკლესიო პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც თავს რომელიმე რელიგიურ ჯგუფს არ მიაკუთვნებენ, კვლავ გამოდიან ელექტრონული პირადობის მოწმობის აღტერნატივის

მოთხოვნით. სინამდვილეში მათი არგუმენტები არ შემოიფარგლება პოკალიფსური წინასწარმეტყველებებით, როგორც ამას ტრადიციული მედია წარმოაჩენს და როგორც იუსტიციის სამინისტრო განიხილავს.

ID ბარათი მოქალაქეების პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული ბარათია. საქართველოში პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული ბარათების გაცემა 2011 წლის აგვისტოდან დაიწყო და ამჟამად ასეთი ბარათით 700 000-მდე მოქალაქე სარგებლობს. ID ბარათი დღესთვის უალტერნატივა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობებისთვის ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქე ვალდებულია ის ID ბარათით ჩაანაცვლოს.

ID ბარათში მოთავსებულია ორი, კონტაქტური და უკონტაქტური ელექტრონული მატარებელი. კონტაქტურ მატარებელზე პირის პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, ფოტოსურათი და ტელეფონის ნომერი ინახება, უკონტაქტო მატარებელზე კი სხვადასხვა სახის სერისების მიბმა შეიძლება. სამოქალაქე რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელი, ლევან სამადაშვილი, მედიასთან საუბრისას ამბობს, რომ საქართველოს წინა მთავრობა ეტაპობრივად ID ბარათის ისეთი ფუნქციებით დატვირთვას აპირებდა, როგორიცაა საბაზო პლასტიკური ბარათის ფუნქცია, სამგზავრო ბარათად გამოყენება და ა.შ. უკვე განხორციელდა ID ბარათისთვის სტუდენტური ბილეთის ფუნქციების მინიჭება.

თავისუფალი უზივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ზვიად სულაბერიძე აღნიშნავს, რომ ID ბარათი მნიშვნელოვნად ამარტივებს სხვადასხვა ბიუროების დანერგვის პირობების მისი შეშვეობით პიროვნების იდენტიფიცირება შესაძლებელია



სწრაფად და დისტანციურად: ის იდენტიფიცირებულია მოქალაქის ხელმოწერასთან, რომელსაც რეესტრი უნივერსალურ კოდს ანიჭებს და რომელიც საპანკო ბარათის პინ კოდის მსგავსად, მხოლოდ მოქალაქემ იცის. შესაბამისად, პირს საკუთარი ოფიციალური თანამონაწილებით სხვადასხვა ოპერაციების ჩატარება, მაგალითად რაიმე მონმობის, ან ნებართვის მიღება ინტერნეტის მეშვეობით დისტანციურად შეუძლია.

სულაბერიძე განმარტავს, რომ თითოეულ ID ბარათს სახელმწიფო ანიჭებს უნიკალურ ციფრულ კოდს, რომელიც პიროვნების ვინაობას შესაბამება. ცალკეული ელექტრონული სისტემების მიერ ID ბარათის ნაკითხვის შემდეგ სისტემა სწორედ ამ კოდს აღიქვამს და მის იდენტიფიცირებას შესაბამის მოქალაქესთან ახდენს. ამგვარად, ცალკეულ უწყებაში შესასვლელად მოქალაქეს შეუძლია საშუალო ბიუროში მოლოდინითავიდან აიცილოს და საშეად საკუთარი ID ბარათი გამოიყენოს, თუკი ისტემაში მისი ბარათის კოდზე დაშვება წინასარ განსაზღვრეს. ბარათის გამოყენება შეიძლება საპანკო ოპერაციების განსახორციელებლად ან სატრანსპორტო ბარათად – ID ბარათი, სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია უნიკალური გადახდისა და მოხმარების ბარათად აქციოს, რომლის მეშვეობითაც სუპერმარკეტში შეძენილი პროდუქტების საფასურსაც გადაიხდის და საზღვარსაც გადაკვეთს.

თუმცა, ID ბარათების იმ ფუნქციებს, რასაც ერთი კომიტეტისა და ეფექტურობის გამო მიესალმებიან, სხვები პერსონალური მონაცემების

ხელშეუხებლობის პოტენციურ საფრთხედ განიხილავენ.

ID ბარათისთვის ამგვარი ფუნქციების მინიჭების შემთხვევაში მოქალაქე საკუთარი ყოველ-დღიური აქტივობის ელექტრონულ კვალს ტოვებს. ამ ინფორმაციაზე კი სახელმწიფოს ხელი მარტივად მოუწვდება. „საუბარი იყო ბარათებისთვის 100-მდე სერვისის მიბმაზე. ამ ინფორმაციით ადამიანის შესახებ ყველაფრის გაგება შეიძლება: არა მხოლოდ მისი პირადი ნომრისა და ოჯახური მდგომარეობის, რაც სახელმწიფომ მანამდეც იცოდა, არამედ რა ხელფასი აქვს, სად ხარჯავს, რა სახელშეკრულებო ვალდებულებები აქვს, სად იკვებება, სად ისვენებს, ოჯახთან ერთად იმყოფება თუ არა და ასე შემდეგ. რეალურად, ეს საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას,“ – ამბობს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი, ვახუშტი მენაბდე. ის ID ბარათების სხვადასხვა ფუნქციით გამოყენების შეთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვაში სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე სუბრობს. თუმცა, მიაჩნია, რომ საქართველოში რთული წარმოსადგენია, სახელმწიფო აპარატის დამკომპლექტებელმა ჯგუფებმა ამ ინფორმაციით ბორიტად არ ისარგებლონ და ეს ინფორმაცია საკუთარი მიზნებისთვის არ გამოიყენონ.

„საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვა არასაღესეს ყოფილა სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი. ჩვენ გვინახავს ფარული ჩანაწე-

■ ID ბარათების იმ ფუნქციებს, რასაც ერთი კომიტეტისა და ეფექტურობის გამო მიესალმებიან, სხვები პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის პოტენციურ საფრთხედ განიხილავენ.

რები, მოსმენები და ა.შ. ცხადია, სახელმწიფო სტრუქტურებს მოგროვილი ჰქონდათ იმაზე მეტი ინფორმაცია, რაც ჩვენ ვიცოდით. ამიტომ ასეთი სიახლის დანერგვა ჩვენი ქვეყნისთის სერიოზული გამოწვევაა. ეს გამოწვევა ჩვენთვის კი არა, ევროპის ქვეყნისთვისაც, “- ამბობს მენაბდე და მიჩნევს, რომ ასეთ ბარათებს ალტერნატივა უნდა ჰქონდეს მათვის, ვისაც ბორიორატიული პროცედურების გამარტივების სანაცვლოდ საკუთარი პირადი ინფორმაციის სახელმწიფოსთვის ნდობა არ სურს.

ID ბარათების კიდევ ერთი მოწინააღმდეგე, სტუდენტი თორნიკე ჩივაძე მიჩნევს, რომ მსგავსი სიახლები, რომელიც ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინტერგირა, სახელმწიფოსა და მსხვილი კერძო კაპიტალის ინტერესს ემსახურება. „სახელმწიფო და კაპიტალზე ინტეგრირებული დანერგვისთვის მექანიზმებს მოითხოვს, რომლის ბიუროერატიული გამართებაც კომფორტულობაა. კონტროლის ამ მექანიზმებს ვერ გაქცევი, თუ არ გსურს ცხოვრების მიღმა დარჩე. ეკლესია კი საკითხის მისტიფიცირებას ახდენს, რაც განსაკუთრებით უარყოფითად დაბალი სოციალური ფენის პოლიტიკურ შეგნებაზე მიქმედებს. საკითხის ასეთი ინტერპრეტაციები პრობლემების სოციალურ საზრისს ფარავს და თვალთვალის უარყოფის მოთხოვნის ნაცვლად ეშმაკან ბრძოლას ცდილობები.“ - ამბობს სტუდენტი.

მოქალაქების კონტროლისთვის სახელმწიფოს მიერ ID ბარათების გამოყენება ზვიად სულაბერიძეს არადამაჯერებლად ეწვენება. „სახელმწიფოს სხვა ბევრი საშუალებაც აქვს გაკონტროლოს, სად იყვი და ახლა სად ხარ. მაგალითად, მობილური ტელეფონი“, - ამბობს სულაბერიძე და ელექტრონული ბარათებისადმი ნეგატიურ განწყობას ინფორმაციის ნაკლებობითა და ახალი ტექნოლოგიებისადმი შემთხ ხსნის. თუმცა, რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ ID ბარათების გატეხვა და ინფორმაციის შეცვლა არ შეიძლება, არ ეთანხმება. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრო არჩევნი ჩიპების პროგრამირებისთვის შედარებით იაფი სტანდარტის პროგრამაზე შეაჩერა, რომლის გატეხვაც შესაძლებელია. ამის გაკეთება ჩვეულებრივ მოქალაქეს არ შეუძლია, მაგრამ სპეციალური მოწყობილობის შემთხვევაში, რაც ათასა დოლარზე მეტი ჯეტის გატეხვაც შეუძლია, ამის გარდა და ფუნქციების განვითარებისას მოწყობილობის შემთხვევაში არ შეიძლება, არ გატეხვის საფრთხეც სპეციალისტს არარეალურად მიაჩნია - იმის გარდა, რომ მსგავსი ფაქტების აღმოჩენა იოლად შეიძლება და დასკადია,

ბარათის გატეხვით მოქალაქე მოტივაციისთვის საკმარის სარგებელს ვერ მიიღებს.

იუსტიციის სამინისტრო ID ბარათების დანერგვის ერთ-ერთ მიზნად ევროკავშირთან ინტეგრაციასა და ვიზალიბერალიზაციას ასახელებს. ამისთვის კი მნიშვნელოვნად პირადობის მოწმობების დაცვის მაღალ ხარისხს მიჩნევს. თუმცა, სინამდვილეში ევროპასთან მიმოსვლის გაადგილება და ვიზალიბერალიზაცია ქვეყნის შიგნით ასეთი პირადობის მოწმობების დანერგვის ვალდებულებას არ გულისხმობს.

ევროპის ქვეყნებში ბიომეტრიული მონაცემების პასპორტებში შეტანის შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ 2004 წელს ამერიკის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად მიიღო, რაც ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიით იყო დასაბუთებული. ამის მოუხედევად, ევროკავშირის გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს ბიომეტრიული მონაცემები პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში შეიტანონ. გადაწყვეტილება მხოლოდ ევროკავშირის მასშტაბით გაცემულ პასპორტებსა და სამგზავრო დოკუმენტებზე მოქმედებს და არა ქვეყნის შიგნით მოქმედ პირადობის მოწმობებზე. მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი უნიკალური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის ვალდებულება კი მოქალაქებს არ აქვთ.

რაც შეეხება საქართველოს, იუსტიციის სამინისტრო „განმანათლებლური“ ხასიათის ვიდეორეგისტრის გავრცელების პარალელურად, ID ბარათების პოლიტიკაზე მუშაობასაც აგრძელებს. იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკაზინი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას სამინისტრო მას შემდეგ მიიღებს, რაც მოსახლეობის აზრის შემსწავლელი კვლევადა დასრულდება. ის საზოგადოებას პირდება, რომ ID ბარათებისადმი განსხვავებული ფუნქციების მიბმა ისევ ნებაყოფლობითად დარჩება, ნინა მთავრობის მიერ მისანიჭებული ფუნქციები დეტალურად განიხილება და მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველ გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ.

ID ბარათებისა და მათი ალტერნატივის დასაშვებობის საბოლოო ბედი ცნობილი ზაფხულისთვის გახდება. ბარათების უალტერნატივოდ დანერგვისა და ფუნქციების გამდიდრების შემთხვევაში სახელმწიფოს პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტი ასახული გარებაზე მოუწვევს. მანამდე კი, სპეციალურ დამტკავ ბადეში მოთავსებული ID ბარათები ძველებური ლამინირებული პირადობის მოწმობებისგან დიდად არ განსხვავდება. **ც**

■ იუსტიციის სამინისტრო ID ბარათების დანერგვის ერთ-ერთ მიზნად ევროკავშირთან ინტერგრაციასა და ვიზალიბერალიზაციას ასახელებს. ამისთვის კი მნიშვნელოვნად პირადობის მოწმობების დაცვის მაღალ ხარისხს მიიღებს. თუმცა სინამდვილეში ევროპასთან მიმოსვლის გაადგილებას და ვიზალიბერალიზაციას ასეთი პირადობის მოწმობების დანერგვის ვალდებულებას არ გულისხმობს.

თანამშრომლობის მემორანდუმი

„ლიბერალი“ და „საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ“ 25 აპრილს სასტუმროში

„ჰოლიდეი ინნ თბილისი“ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

გამოცემა „ლიბერალი“ და „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ იმუშავებენ და გააშუქებენ
სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებს, ასევე, კონკრეტული ფერმერების საქმიანობას,

მათ წარმატებებსა და პრობლემებს.



"ცოდნის ბორიში" სოფია ლამბაცოში

ავტორი, ფოტო: გიორგი ჭეიშვილი



ყრუ კედლებში – ოთახში, სადაც მცირენლოვანი მოსწავლეები სხედან ერთადერთი ღიობი ხის სიფრიფანა კარია

საგარეჯოს რაიონის სოფელი ლამბალოს სკოლა რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი და სხვადასხვა ნაქირავებ სახლსა თუ გომურშია განთავსებული. სკოლის ძველი შენობა 2006 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებს, სასწავლო პროცესსა და შესვენებებს შორის განსხვავების შემჩნევა კი პრაქტიკულად შეუძლებელია, იმ გამონაკლისის გარდა, თუკი მოსწავლეები ნაქირავები სახლის ეზოში მზეზე გამოტანილ სკამებზე არ სხედან.



სოფელ ლამბალოს მტვრიან, უსწორ-მასწორო ქუჩაზე ბებია და შეილიშვილი გვერდიგვერდ მიდიან. ბავშვს სკოლის ჩანთა აქვს მოკიდებული. ქართულად დასმულ კითხვას ვერ იგებენ, ხოლო მას შემდეგ რაც ვეკითხებით – „Где здесь школа“ - ასაკოვანი ბებია ხელს რამდენიმე მიმართულებით იშვერს.

ლამბალოს სკოლის ადგილმდებარეობის ძებნისას სოფლის სხვა მაცხოვრებლებიც რა-მდენიმე მიმართულებას გვიჩვენებენ. ოთხი ადამიანის გამოკითხვის შემდეგ რეპუსი ამო-სსნილია და სკოლასაც ვპოულობთ, თუმცა ერთსართულიანი დაბალი თეთრი შენობა, რომლის კარიდანაც პედაგოგი წელში მოხრი-ლი გამოდის, სათავსოს ასოციაციას უფრო იწვევს, ვიდრე სასწავლო დაწესებულებისას.

„სასწავლო ნაწილს დაუურეკავთ, ახლავე ამოვა“, – გვეუბნება პედაგოგი და ფოტოე-ბის გადასაღებად შენობაში გვეპატიუება. 8-9 კლასის მოსწავლეები მათემატიკასა და ის-ტორიას ერთ ოთახში სწავლობენ.

ოთახის ღია მწვანედ შელებილი კედლები და გაუკვეველი მასალის იატაკი აქვს, ჭერზე – დაკლაკნილ მავთულს მიმაგრებული ნათუ-რა ციმციმებს, მასწავლებლების მერსს უკან კიდეებშემორღვეული დაფაა ჩამოკიდებული, მუქი ყავისფერი მერხები კი კიდევ უფრო ამუქებს ისედაც ჩაბნელებულ სიცრცეს. ოთა-ხიდან კარი და ფანჯარა მეორე კლასში გა-დის. მტვრის ფენითა და ჭუჭყით დაფარული მინის მიღმა მე – 6 კლასის ერთ-ერთი მოსწა-ვლე რვეულში იყურება, ხმაურზე ფანჯარას აკვირდება და გაუმჭვირვალე მინიდან ჩვენ დანახვას ცდილობს. ბუნების გაკვეთილი აზერბაიჯანულ ენაზე ტარდება. გაჯით ნა-ხევრადშელესილ კედელზე საზოგადო მოლ-ვანების დაობებული პორტრეტები ჰყიდია. ნესტიან ოთახში ნათურა ბუუტავს, სინათლე გარეთ გამავალი ფანჯრიდან შემოდის, ჰაე-რი კი ამავე ფანჯარაში შეის ღუმელისთვის ამოჭრილი ღრიჭოდან აღწევს.

ლამბალოს სკოლის 3-სართულიანი შენო-ბა 2006 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებს. სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი იხსენებს, რომ ექსპერტების დასკვნის მიხედვით შენო-ბა არც უსაფრთხო იყო და არც რეაბილიტა-ციას ექვემდებარებოდა.

2006 წლიდან სკოლა რამდენიმე სხვადასხვა ობიექტშია გადანაწილებული. საცხოვრებელ სახლსა და ორ სათავსოში ძირითადად 1-დან 7 კლასის მოსწავლეები არიან. კიდევ ორი ნა-გებობაა, ერთი კი 5 კილომეტრის მოშორე-ბით არის განთავსებული.

სოფელ ლამბალოს სკოლაში ორი სექტო-რია: ქართული და აზერბაიჯანული. 1015 მოსწავლეს 70 პედაგოგი ასწავლის, მათგან 25 მასწავლებელი ქართველია, დანარჩენები კი აზერბაიჯანელები არიან.

■ „აქ წელში ვერ გამართება ადამიანი. ნესტია, სიცემების დროს კი ნაკელის სუნი დგება. ამასწინათ გამბობი, ჩვენი პედაგოგები გმირები არიან მეთქი. ოორმეტნილიანი სწავლება გვაქვს, ზოგიერთ საფეხურზე 4-5 პარალე-ლური კლასია. ამ მძიმე პირობების გამო ბავშვები მეზობელი სოფლების სკო-ლებში დადან, ძირითადად იორმულობი.“



2011 წლიდან ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორად დავით როსტომაშვილი დაინიშნა. დირექტორი ამბობს, რომ ორი შენობა, სადაც გაკვეთილები ტარდება, ადრე საქონლის სადგომი იყო.

„ბოსელი მეტ-ნაკლებად გავასუფთავეთ, ეს გომურებიც ჩვენი ხარჯებით შევღებეთ, აი, ჩვენც თავს ვიტყუებთ რა! მეორე შენობა, სადაც ადმინისტრაციაცაა განთავსებული საცხოვრებელი სახლი იყო. ერთ ტერიტორიაზე რაიმე დიდ შენობას ფიზიკურად ვერ ვქირაობთ. ამასთან დაკავშირებით პრობლემა შარშანაც შეგვექმნა, თუმცა მასწავლებლების დახმარებით მოვახერხეთ, რომ მეპატრონებს დავეტოვებინეთ. ქირის ფულს სკოლის ბიუჯეტიდან ვიხდით, წლიურად 30 ათასი ლარი გამოგვდის“, – ამბობს დავით როსტომაშვილი.

სკოლის შენობებსა და მეზობლად მდებარე სახლებს შორის თუნუქის ფირფიტების ღობება აღმართული. ადგილზე გვიხსნიან, რომ ბავშვები შესვენებაზე მეზობლად მდე-

ბარე ეზოშიც თამაშობდნენ, რამაც სახლის მფლობელები შეანუხა. საპირფარეშოების მაგივრობას ორი ჩეჩიმა წევს – „წვიმა რომ მოდის ნამდვილი ნიაღვარია, ლამის ნაიღოს ეს ჩეჩიმები, ბუფეტსა და მსგავს რამეებზე საუბარიც არაა“.

სკოლის მეორე შენობა პირველიდან ორ-მოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დგას და სამ ოთახში, სადაც ბავშვებს გაკვეთილები უტარდებათ, მზის სინათლე არ აღწევს.

„აქ წელში ვერ გაიმართება ადამიანი. ნესტია, სიცხეების დროს კი ნაკელის სუნი დგება. ამასწინათ ვამბობდი, ჩვენა პედაგოგები გმირები არიან-მეთქი. თორმეტწლიანი სწავლება გვაქვს, ზოგიერთ საფეხურზე 4-5 პარალელური კლასია. ამ მძიმე პირობების გამო ბავშვები მეზობელი სოფლების სკოლებში დადიან, ძირითადად იორმულალიში. წელს, მაგალითად, სკოლამდელი ასაკის 300-მდე ბავშვი მშობლებმა დასარეგისტრირებლად სხვა სკოლაში წაიყვანეს. ამას გარდა სხვა ორი საცხოვრებელიც გვაქვს ნაქირავები. იქ



მათემატიკის გაკვეთილი. ლაბალოს საჯარო სკოლა

ძირითადად მე-7 მე-12 კლასამდე მოსწავლები არიან. დაწყებითები ცალკე შენობაში გვყავს, გვინდოდა, რომ ერთად ყოფილიყვნენ, თანაც ვეცადეთ კლასები ისე გადაგვენანილებინა, რომ პედაგვებს შენობებს შორის სირბილი არ უწევდეთ – აյ რომ გაკვეთილს ჩაატარებს, სანამ მეორე შენობამდე მივა...”,
– გვიყვება სკოლის დირექტორი.

დავით როსტომაშვილის თქმით, განათლების სამინისტრომ ახალი ინვენტარი მიაწოდა, მათ შორის 60-მდე კომპიუტერი, ლაპორატორიები, სპორტული ინვენტარი, თუმცა არსებულ პირობებში მათი გამოყენება პრაქტიკულად წარმოუდგენელია – „ეს ყველაზერი დასაწყობებული გვაქვს და ამისთვისაც ქირას ვიხდით. რეალურად ვერაფერს ვიყენებთ, აბა, აქ სად ან როგორ დავდგათ კომპიუტერები?“

სკოლაში ზარი ირექება და იმ მოლოდინის მიუხედავად, რომ ეზო ბავშვებით აივსება, მსგავსი არაფერი მომზდარა – კლასებიდან მხოლოდ მოსწავლეების რამდენიმე ჯგუფი

გამოვიდა და დიდი „სიცელქით“ ან აქიუტო-რიბით არც ისინი გამოირჩეოდნენ, გასაკვირი არცაა – ამტვერებული გადახრიოკებული ეზო, ალაგ-ალაგ მოსიარულე ქათმები დიდი ვერაფერი გასართობია, ლამბალოს სკოლა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენია მსგავსი ტიპის დაწესებულებებში.

ქართული ენის მასწავლებელი გიგა გოგინაშვილი პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეა. წელიწადნახევარია ლამბალოს საჯარო სკოლაში ასწავლის და იმ მძიმე პირობებზე საუბრობს, რომელიც ადგილზე დახვდა:

„სასწავლო პროცესი საქონლის სადგომებში მიმდინარეობს. უჰაერობაა, რის გამოც ზოგს გული აწუხებს, ბავშვები ავადდებიან და ამას სწორედ ის გარემო იწვევს, სადაც სწავლობენ. შუქი არ არის, დაფაზე არაფერი ჩანს. ელექტრო ენერგიის არქონა აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენებას ართულებს, არადა, ეს ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს. ბავშვები, რომლებიც აქ სწავლობენ, ყვე-

■ ბავშვები, რომლებიც აქ სწავლობენ, ყველაფერს მოკლებული არიან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზკულტურის გაკვეთოლისთვისაც კი არ აქვთ მოვდანი. სასწავლო გარემოს მიმართ მოსწავლეებსაც წევალური დამოკიდებულება აქვთ, თავად გამოიჭევამენ სურვილს და მშობლებსაც მეზობელი სოფლების სკოლებში გადაჟყვათ.

ლაფერს მოკლებულნი არიან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზიულტურის გაკვეთი-ლისთვისაც კი არ აქვთ მოედანი. სასწავლო გარემოს მიმართ მოსწავლებსაც ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, თავად გამოთქვამენ სურვილს და მშობლებსაც მეზობელი სოფლების სკოლებში გადაჰყავთ.

ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი ამბობს, რომ განათლების სამინისტროს კომისიას დღე-დღეზე ელოდებიან. დავით როსტომაშვილის თქმით, სოფლის სკოლის

რეაბილიტაცია ერთ-ერთი პროგრამით იყო გათვალისწინებული. პროექტიც არსებობდა და საქმე ტენდერის გამოცხადებამდეც იყო მისული: 1-დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ერთი კორპუსის მშენებლობა სექტემბერში უნდა დასრულებულყო, თუმცა პროექტი შეჩერდა.

„რამდენადაც ვიცი, განათლების სამინისტროს ახალმა კომისიამ შეიმუშავა გეგმა, რომ სოფელში 1010 ბავშვზე გათვლილი სკოლა უნდა აშენებულიყო. ხომ ნახეთ რა პირობებში სწავლობენ ბავშვები? ამის მიუხედავად იშვიათია, რომ თუნდაც ზამთრის პერიოდში ცუდი მოსწრება გვქონდეს. იქნებ როგორება აგვიძენონ სკოლა, რომ ყველა ბავშვს ერთად მოუყაროთ თავი“, – გვემშვიდობება დირექტორი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, თამარ სანიკიძე ამბობს, რომ საკითხს ამჟამად განათლების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილი კომისია განიხილავს, სამუშაო პროცესი კი პროექტირების ეტაპზეა.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ბავშვები არა-ადეკვატურ პირობებში არიან და სწავლების პროცესიც შესაბამისად მიმდინარეობს. ამ სკოლასთან დაკავშირებით ორი სახის პროექტი გვაქვს, რასაც ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ერთად ვაფასებთ. ასევე, გასარკვევია სკოლის საფეხურები – უნდა იყოს საბაზისო თუ საშუალო. ორ პროექტს განვიხილავთ, ერთი მცირე ზომისაა, მეორე შედარებით მასშტაბური, იმ შემთხვევაში თუ გადავწყვეტთ, რომ აქ საშუალო სკოლა იყოს ყველა თავისი საფეხურით. სამუშაოების დასაწყებად სწავლის პროცესის დასრულებისთვის აუცილებლად ჩამოყალიბებული უნდა ვიყოთ. წინა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ლამბალოში სკოლა უნდა აშენებულიყო. სოფელში არსებული ავარიული სკოლა დაინგრა, შემდეგ კი არაფერი გაკეთდა“, – აცხადებს თამარ სანიკიძე.

სოფელ ლამბალოს სკოლის დირექტორი და მასწავლებლები მდგომარეობის გაუმჯობესებას ელოდებიან, ერთია კია, ბევრ პედაგოგს „მოსწავლეებში ასე არ უმართლებს“, რადგან აქ ვერც არარსებულ დერეფანში მორბენალ ბავშვებს ნახავთ, არც ბუფეტში შეყოვნებული მოსწავლისთვის მოუწევთ ლოდინი და არც სასწავლო ნაწილს მოუწევს სპორტულ მოედანზე, ან დარბაზში გაკვეთილიდან გაპარული ბავშვების დევნა.



საკლასო ოთახი, სადაც მათემატიკის გაკვეთილი ტარდება, სხვა კლასების მგავსად ადრე საქონლის სადგომად გამოიყენოთ.


шсүсән
смд

880

9
лт

псунеф
шсәсе
жсем

00:22



ბის ხესაშვილი მაღილის "ჩაის" ხელმისაწვდომობას შესვება

ზურაბ ვარიაშვილი



ცნობილი ქართველი ექსპერტი (მათ შორის ფეხურთის საკითხებშიც) გაა ხეხაშვილი სამუშაო ვიზიტით მაღრიდში იმყოფება. ის ხვალ დილი-დან სამეფო გუნდის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს, მთავარ მწვრთნელ უზუ მაურინიოს და საზოგადოებასთან სამსახურის უფროსს ემილიო ბუტრაგენიოს შეხვდება. ხეხაშვილი ესპანური გრანდის ხელმძღვანელობას დორტმუნდის „პორტუსიასთან“ განცდილი მარცხის მიზეზების გაანალიზები და გუნდის სამომავლო მზადების საკუთარ ხედვას გააცნობს. ექსპერტი მაღრიდში საკუთარ სამწრთველო შტაბთან ერთად იმყოფება, რომელშიც ათი თბილისელი შედის. მათთან ერთად ხეხაშვილი გუშინდელი თამაშის ვიდეოჩანანერს გაარჩევს და დასკვნას საფეხბურთო კლუბის მესვეურთ გააცნობს.

ექსპერტი უკვე შეხვდა კლუბის ფეხბურთელებს. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე „რეალის“ არც ერთი მეცარე არ იმყოფებოდა, რადგან ხეხაშვილმა აუდიენცია მხოლოდ ათ მაღრიდელ-თან ისურვა.

შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა კრიშ-ტიანუ რონალდომ. სუპერვინსკვლავის თქმით, მას ისეთ დიდებულ მნიშვნელებთან უმუშავია, როგორებიც არიან ალექს ფერგულისონი და უოზე მაურინიო, „მაგრამ ხეხაშვილი სულ სხვაა.“

„ამხელა კაცი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს, არც მომისმენია,“ – დასძინა პორტუგალიელმა უურნალისტებთან საუბრისას.

თავდ ხეხაშვილი შხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა, მისი განცხადებით არა მხოლოდ „რეალის“, არამედ ზოგადად ესპანური ფეხბურთის დევრადაციი შეინიშნება და ამ ფაქტს მიუწენის „ბაიერნთან“ კატალონიის „ბარსელონას“ სრული ფიასკოც ადასტურებს. „ამ პობლე-მას უნდა მოევლოს“, – განაცხადა გიამ.

„ამის გამო, ხვალ მაღრიდელების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ, ლა ლიგის ყველა გუნდის პრეზიდენტს ჩემთან ვიბარებ“, – აღნიშნა ექსპერტმა. ესპანური მედიის ცნობით ხეხაშვილი სამეფოში თვითონ ხუან კარლოსმა მიინვია და საკუთარი ნდობით აღჭურვა.



www.uchnobifm.ge



ყველაზე საინტერესო
პროფესიონალუ ყველაზე
ანიმაციუროვანი
ეკშესაბაზი
პრესაცემა



PROFY
ყმა 15:30